№№

გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №№1-2(255-256) 2022 წ. 1-31 იანვარი ფასი 2 ლარი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საახალწლო ამანათები:

სოციალურად დაუცველებს, ხანდაზმულებს, მრავალშვილიანებს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ჯანდაცვის და სოციალურმა სამსახურმა უკვე ტრადიციად აქცია მოწყვლადი ჯგუფებისთვის საახალწლო განწყობის შექმნა და მომავლის იმედის დაბედება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის დავალებით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სოციალურად დაუცველ 1000 ოჯახს რამდენიმე სახეობის საკვები პროდუქტების ამანათები გადაეცა, რომელიც შემდეგ სამიზნე ჯგუფებს მოიცავდა: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანები, მარტოხელა ხანდაზმულები, დღის ცენტრის, სათნოების სახლისა და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარები და მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლები.

ბატონი ავთანდილ გულიკაშვილი მოადგილესთან და საკრებულოს თავჯდომარესთან ერთად ბენეფიციარებს თავად ესტუმრა, ახალი წელი მიულოცა და სასაჩუქრე ამანათები გადასცა.

- ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ახალი წელი ამ ოჯახებისთვის იყოს იმედის მომცემი, თითოეული მათგანი ადგილობრივი თვითმართველობის მხრიდან უნდა გრძნობდეს ზრუნვასა და მხარდაჭერას. სწორედ ამ მიზნით, წელს ბენეფიციართა რაოდენობა გავზარდეთ და ამანათების ასორტიმენტი გავამრავალფეროვნეთ. ეს იქნება დასაწყისი იმ დიდი წამოწყებებისა, რასაც სამომავლოდ კვლავ გავაგრძელებთ. – განაცხადა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

სახანძრო-სამაშველო სამსახურისა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მუშაკებს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი-ავთანდილ გულიკაშვილი პირველ მოადგილესთან და საკრებულოს თავჯდომარესთან ერთად სასწრაფო - სამედიცინო დახმარებისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის საგარეჯოს განყოფილების მორიგე ჯგუფებს ესტუმრა და ძველით ახალი წელი მიულოცა.

მოსახლეობის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის და ქვეყნის სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა, არსებულ საჭიროებებზე გაესაუბრა და სამომავლო გეგმები გააცნო.

- ეს არის მუდმივი შრომის, უადრესად რთული, სარისკო და საპასუხისმგებლო პროფესია. სწორედ მათი საქმისადმი სიყვარულზე და თავდადებაზეა დამოკიდებული ხშირად ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა, სიცოცხლე და უსაფრთხოება. ვიცი, რომ ეს ადამიანები თავს არ ზოგავენ, რათა მისია წარმატებით შეასრულონ და სხვათა გადასარჩენად, მზად არიან, საკუთარი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დააყენონ. მინდა თითოეულ მათგანს მადლობა გადავუხადო ამ თავდადებისთვის! მივულოცო შობა-ახალი წელი, ვუსურვო მხნეობა, ჯანმრთელობა და მშვიდობიან საქართველოში ცხოვრება! - განაცხადა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებიდან, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე

დავით სონღულაშვილი:

მოსახლეობასთან კომუნიკაციის პროცესი უნდა იყოს უწყვეტი ჯაჭვი

გაზეთი „გარეჯის მაცნე“:

– ბატონო დავით, გილოცათ შობა-ახალ წელს! ჯანმრთელობა, სიკეთე და წარმატებები დაგბედებოდეთ პირად ცხოვრებასა და საპარლამენტო საქმიანობაში.

საინტერესოა, როგორ ანაწილებთ დროს, ოთხი მუნიციპალიტეტის რჩეული, საკომიტეტო საქმიანობასა და ამ ოთხი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის საქმიანობას შორის?

– დროის სწორი მენეჯმენტი. თვის განმავლობაში 2 კვირა სასესიო მაქვს და დარჩენილი 2 კვირის განმავლობაში ვცდილობ, რომ ოთხივე მუნიციპალიტეტში ვიყო ფიზიკურად და მქონდეს კომუნიკაცია როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო, საგარეო თუ სხვა ტიპის პროექტების შესახებ. ვთვლი, რომ მოსახლეობასთან კომუნიკაციის პროცესი უნდა იყოს უწყვეტი ჯაჭვი, იმისთვის რომ საქმეს, რომელსაც ერთად ვაკეთებთ შედეგები ჰქონდეს მაქსიმალურად მოკლე ვადებში.

გაზეთი „გარეჯის მაცნე“: *– გასულ წელს, კონკრეტულად, თქვენთვის რომელი პროექტი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო, რომელიც განხორციელდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში?*

– პირველი რიგის პრობლემა, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებობს ეს არის წყალმომარაგება, რომლის გადასაჭრელადაც მუშაობა დავიწყეთ და უკვე 2023 წლისთვის საგარეჯოს 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება. გარდა ამისა, არ შემიძლია არ აღვნიშნო ქ. საგარეჯოში მრავალფუნქციური სკვერის მოწყობის სამუშაოების დაწყება, განახლებული რეგიონების ფარგლებში დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, თბილისი-საგარეჯოს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. ჩემი და ჩემი გუნდის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ სკოლამდელი აღზრდისთვის და ზოგადად, საგანმანათლებლო სფეროსთვის პირობების გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ გარემოს შექმნაა. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში, სრულად დავფარავთ ყველა საჯარო სკოლისა თუ საბავშო ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაციას.

გაზეთი „გარეჯის მაცნე“: *– ყველა მუნიციპალიტეტში, მომავალ წელსაც, გამოწვევად რჩება მოსახლეობის წყალმომარაგება. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება აღნიშნული პრობლემის გადაჭრა, მაშინ როცა, არ არსებობს მოსახლეობისთვის არამიზნობრივად წყლის გამოყენების შემაკავებელი მექანიზმი, როგორიცაა, მაგალითად, გამრიცხველიანება ბევრ სოფელში.*

– ზემოთაც ვისაუბრე, რომ წყალმომარაგების პრობლემა არა მხოლოდ საგარეჯოში, არამედ ჩემს სამაჟორიტარო ოლქის დანარჩენ 3 მუნიციპალიტეტშიც დგას. ამ საკითხის გადასაწყვეტად, სხვადასხვა უწყებებთან ერთად ვიმუშავეთ და მოხარული ვარ, რომ დღეს უკვე ეს პროცესი დაწყებულია და ოთხივე მუნიციპალიტეტის სოფლებში სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. შესაბამისად, 2023 წლისთვის 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, გურჯაანისა და სიღნაღის მოსახლეობას. ამ პროცესის პარალელურად კი გაგრძელდება ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ვფიქრობ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ეკონომიკურ მდგომარეობას კახეთის რეგიონში და ხელს შეუწყობს ადგილობრივი მცირე წარმოებების გაჩენა-გაუმჯობესებასა და ტურიზმის განვითარებას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

25 იანვარი, 2021 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიეტის მერიის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერი* ავთანდილ გულიკაშვილი** უძღვებოდა. თათბირს ესწრებოდნენ მერის მოადგილეები, მერიის სამსახურებისა და განყოფილებათა უფროსები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები.

მუნიციპალიტეტის მერმა საუბარი დაიწყო ინფორმაციით – შვიდი თებერვლიდან მერიის ხელმძღვანელი პირები, სამსახურების უფროსები გრაფიკის მიხედვით შეხვედრებს მოაწყობენ მუნიციპალიტეტის ცალკეული თემებისა და სოფლების მოსახლეობასთან. შეხვედრა ითვალისწინებს თითოეული მოქალაქის აზრის, წინადადებების გათვალისწინებას პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტების განხორციელების საქმეში. ისევე, როგორც წინა წლებში, ახლაც განხორციელდება ის პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას, მოწესრიგდება მთელი რიგი საკითხები, იერ-სახეს შეიცვლის სოფელი...

მერის წარმომადგენლებმა თემებსა და სოფლებში დაწვრილებით წარმოადგინეს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაში აქტიურად უნდა ჩაერთოს მერიის შესაბამისი სამსახურები და აიპ-ები.

„Covid-19“ და ჩვენ

ლეილა ოტიაშვილი

შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის საგარეჯოს კოვიდცენტრის ხელმძღვანელი:

„მდგომარეობა ყურადსაღებია“

ინფორმაცია ომიკრონის შტამის მსუბუქი მიმდინარეობის შესახებ მოსახლეობის დიდი უმრავლესობის გულდამშვიდების მიზეზი გახდა. „რა თქმა უნდა“ ომიკრონი შემთხვევათა 70 -80 %-ში გაცილებით მსუბუქად მიმდინარეობს, განსაკუთრებით ბავშვების და ახალგაზრდების დიდ უმრავლესობაში. თუმცა, რეალობიდან გამომდინარე, მინდა მოგახსენოთ,რომ 60 წელს გადაცილებულ პაციენტებში,განსაკუთრებით თანმხლები ქრონიკული დაავადებების არსებობისას,ასევე არავაქცინირებულებში არანაკლებ მძიმე მიმდინარეობით ხასიათდება, როგორც დელტა შტამი.გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ინფიცირების 30-40 % კვლავ დელტა შტამზე მოდის.ამიტომ გავუფრთხილდეთ ჩვენს ხანდაზმულ და მოხუცებულ ოჯახის წევრებს, ვატაროთ ორმაგი ნიღაბი, დავიცვათ 2 მ-იანი დისტანცია, განსაკუთრებით დახურულ სივრცეში , ჩავიტაროთ ვაქცინაცია არსებული რეკომენდაციების მიხედვით.,ავკრძალოთ თავყრილობები და წვეულებები.... ქვეყანაში, სადაც არავითარი შეზღუდვები არ წესდება, არ მკაცრდება რეგულაციები და ამ მხრივაც უნიკალურები ვართ,ვაქცინაციის 40%-ს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ საკუთარი თავის,ერთმანეთის და ღმერთის იმედის ანაბარა ვრჩებით... გადავარჩინოთ ჩვენი ოჯახები, შევეხიდოთ ერთმანეთს,მივუთითოთ, ვამხილოთ რეგულაციის დამრღვევები...

...თორემ საშველი არ არის, არ არის, არ არის...

საქართველოში კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევა - 1 075 154 , ბოლო 24 საათში – 24 იანვარს - 15 762

მათ შორის გამოჯანმრთელებული - 972 745 , ბოლო 24 საათში - 5 160

მათ შორის გარდაცვლილი - 14 774 , ბოლო 24 საათში - 42

ბოლო 24 საათში ჩატარებული კვლევა ტესტით - 74 200, მათ შორის ანტიგენის სწრაფი ტესტით - 51 865, PCR ტესტით - 22 335

დადებითობის მაჩვენებელი: დღიური - 21,24%, ბოლო 14 დღის - 14,15%, ბოლო 7 დღის - 18,01%

სულ აცრილია - 2 667 808, დღიურად აცრილია - 8 634

კარანტინის რეჟიმში - 30

სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ - 4 595

კლინიკურ სასტუმროში მყოფი პირები - 2 064

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საახალწლო ამანათები: პატარებს _ ბაღის აღსაზრდელებს

საგარეჯოს მუნიციპალიეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის ინიციატივით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ყველა აღსაზრდელს საახალწლო საჩუქრები გადაეცა.

ბატონი ავთანდილ გულიკაშვილი საკრებულოს თავჯდომარე ალექსი გილაშვილთან ერთად მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებს ესტუმრა, საახალწლო ღონისძიებებს დაესწრო, პედაგოგებსა და აღსაზრდელებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და ბავშვებს ტკბილეული თავად გადასცა.

წინასაახალწლო განწყობას კიდევ უფრო მეტი სიხარული შესძინა გაჟღერებულმა ინფორმაციამ:

- ჩემი მიზანია, რომ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი წარიმართოს კომფორტულ და შესაბამის გარემოში, ამისათვის მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და აქვე მინდა გამცნოთ სასიხარულო ინფორმაცია, რომ მომავალი წლიდან ყველა ბაღს ახალი - თემატური სათამაშოების კოლექციები შეეძატება.

ბავშვის გონებრივი განვითარებისა და შემეცნებითი აქტივობებისთვის აუცილებელია სათამაშოების მუდმივი განახლება, ჩვენ ეს პროცესი დავიწყეთ და ახალი სემესტრიდან, სასწავლო პროცესს აღსაზრდელები ახალ გარემოში გააგრძელებენ, განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა.

შშმ პირებს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ გულიკაშვილი, მოადგილესთან გიორგი ლალიაშვილთან ერთად, შშმ ბავშვთა დღის ცენტრს ესტუმრა, საახალწლო ღონისძიებას დაესწრო, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა ბავშვებს, პედაგოგებსა და მშობლებს.

ბატონმა მერმა ბენეფიციარებს საშობაო საჩუქრები გადასცა და მუდმივი მხარდაჭერა აღუთქვა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

24 დეკემბერი, 2021 წელი

24 დეკემბერს გამართულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე* ალექსი ბილაშვილი** უძღვებოდა. სხდომას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი* ავთანდილ გულიკაშვილი**, ***მისი მოადგილეები* ემზარ კუჭუაშვილი, გიორგი ლალიაშვილი** და მერიის სამსახურების უფროსები ესწრებოდნენ.

დეპუტატებმა დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ მოისმინეს და განიხილეს ***პირველი საკითხი*** – „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა* თინათინ ძაბილაშვილმა** წარადგინა (თანამომხსენებელი: ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე* ელენე სამხთუაშვილი**).

როგორც მომხსენებელმა **თინათინ ძაბილაშვილმა** აღნიშნა:

ბიუჯეტის შემოსავლები 2022 წელს განისაზღვრა 19753700 ლარით.

საგადასახადო გადასახადები – 17799700 ლარით.

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვრა 245000 ლარით.

სხვა შემოსავლები განისაზღვრა 17090 ლარით.

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 15373300 ლარით.

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრება 4326400 ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 4426400 ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 100000 ლარით.

ინფრასტრუქტურის განვითარებაზე – 20798000 ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა – 100000 ლარი;

განათლება – 431600 ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 400.0

რაც შეეხება ინფრასტრუქტურის განვითარებას, პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღრა 4414.0 ათასი ლარი. მათგან:

1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება – 1743700 ლარი;

ა) გზების მიმდინარე შეკეთება – 887600 ლარი;

ბ) გზებს მიმდინარე შეკეთება – 537600 ლარი;

გ) შპს „საგარეჯო“ – 350000 ლარი;

დ) ახალი გზების მშენებლობა – 856100 ლარი;

2. წყლის სისტემის განვითარებაზე: 1190300 ლარი.

ა) სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია – 866100 ლარი;

ბ) სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია – 324200 ლარი;

3. გარე განათება – 1335000 ლარი.

4. კეთილმოწყობა 45 000 ლარი

ა) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია – 45 000 ლარი;

5. სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 100000 ლარი

თინათინ ძაბილაშვილის მიერ წარმოდგენილი მოხსენების ირგვლივ კითხვები დასვეს **დეპუტატებმა ოთარ ურდულაშვილმა** (პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) და **თამარ ყორღანაშვილმა** (პარტია „ლელო“). მათ შეკითხვებს უპასუხეს **თინათინ ძაბილაშვილმა და სოფიო შაძარაშვილმა.**

დღის წესრიგის ***მეორე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“*** მოხსენება წარმოადგინა საგარეჯოს ***მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამსახურის უფროსმა* სოფიო შაძარაშვილმა.** მის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 1 575 300 ლარს.

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

რაც შეეხება სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფები და დახმარების გაცემის წესს, შემდეგია:

პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა ითვალისწინებს შემდეგს:

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე ოჯახებში ახალდაბადებული ბავშვების დახმარება ერთჯერადად განსაზღვრულია 350 ლარის, ხოლო სხვა დასახლებაში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის 300 ლარის ოდენობით. (დახმარების მიმღებია პირველი და მეორე შვილი, ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარებით ისარგებლებს ორივე ტყუპისცალი.) დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 001-მდე.

პროგრამით სარგებლობისათვის მათ უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია:

ა) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის ცნობა.

ბ) ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

გ) დაბადების მოწმობის ასლი.

დ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

ე) ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან.

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ***მრავალშვილიან ოჯახებს*** მიეცემათ ერთჯერადი 400 ლარიანი დახმარება, რომელებსაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და ორი მაინც არის 18 წლამდე ასაკის. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 001-მდე.

აღნიშნული პროგრამით სარგებლობისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტაცია:

ა) მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის ცნობა.

ბ) ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

გ) დაბადების მოწმობის ასლები.

დ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

ე) ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან.

– ბავშვთა კვების პროგრამა.

– სიღარიბის ზღვარს მიღმა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 70 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულისმქონე ოჯახის ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთა სიცოცხლეს და ნორმალურ ზრდა-განვითარებას მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო ემუქრება საფრთხე ყოველთვიურად კვების პროგრამა დაუფინანსდებათ 150 ლარამდე თანხით. ფენილკეტონურიით ან სხვა იშვიათი დაავადების მქონე პირთა და შშმ პირთა სპეციალიზირებული საკვები დანამატებით დახმარებისთვის ლიმიტის ამოწურვამდე გაიცემა 500 ლარამდე თანხა.

აღნიშნული პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენია დოკუმენტაცია:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა- IV-100/ა) და ანგარიშფაქტურა.

ბ) ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან ან შშმ პირის ცნობა.

გ) დაბადების მოწმობის ასლი.

დ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

გათვალისწინებულია უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა.

ა) უდედმამო 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში.

ბ) დედით ან მამით ობოლ 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით, დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 001-მდე.

პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

გ.ა) მეურვეობის დამადასტურებელი ცნობა.

გ.ბ) ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

გ.გ) დაბადების მოწმობის ასლები.

გ.დ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

გ.ე) ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან.

გ.ვ) მშობლის გარდაცვალების მოწმობა.

რაც შეეხება შშმ. 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამას ***შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა მოხდება 50 ლარის ოდენობთ ყოველთვიურად.***

პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის ცნობა.

ბ)დაბადების მოწმობის ასლი.

გ)განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

დ)ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან.

შშმ. პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა ითვალისწინებს:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და 18 წლამდე ბავშვთა, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა რეაბილიტაციის თანხის დაფინანსებას 500-დან -1000 ლარამდე.

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და 18 წლამდე მოზარდების სანატორიულ-კურორტული და ბალნეოლოგიური მომსახურების დაფინანსება 500 ლარამდე თანხით. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 100 001-მდე. პროგრამის მოსარგებლეებზე ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გაიცემა ერთი დახმარება. სერვისის მიწოდებისთვის ასანაზღაურებელი თანხა, არ უნდა აღემატებოდეს საკურორტო მომსახურების ღირებულებას.

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვთა სამკურნალო რეაბილიტაციის დაფინანსებას 200 ლარით. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 001-მდე.

აღნიშნული პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენია დოკუმენტაცია:

დ.ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა- IV-100/ა) და ანგარიშფაქტურა.

დ.ბ) ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

დ.გ) დაბადების მოწმობის ასლი.

დ.დ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

ე) სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმწოდებელი ააიპ რეაბილიტაციის ცენტრი „სინერგია 2019“ -ის კომუნალური ხარჯები დაფინანსდება 2000 ლარით.

ვ) სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბავშვთა ქვეპროგრამის მიმწოდებლად რეგისტრირებული ააიპ გეორგიანელის ტრანსპორტირების ხარჯები დაფინანსდება 15000 ლარით.

მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი 200 ლარიან დახმარებას. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 001-მდე.

პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მარტოხელა მშობლის სტატუსის ცნობა.

ბ) ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

გ) დაბადების მოწმობის ასლები.

დ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

ე) ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან.

რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა გათვლილია:

ა) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებზე, რომლებზეც განხორციელდება რეინტეგრაციაბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, მათ ოჯახებს გაეწევა ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

ბ)სახელმწოფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება, შესაბამისი ორგანოდან მოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე, ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით.

გ) ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება.

დ) ოჯახების დახმარება, რომელთაც ჰყავთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი ან პირები და შეუწყდათ საარსებო შემწეობა განმეორებით გადამოწმების შედეგად.

ე) თვითმმართველობის სოციალური მუშაკის მიერ შესწავლილი ოჯახების გაძლიერება, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე და ფულადი დახმარების გაცემა სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე.

ვ) პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

ვ.ა) შესაბამისი ორგანოდან წარმოდგენილი ინფორმაცია ბავშვთა ოჯახში რეინტეგრაციის შესახებ, ან ქალთა და ბავშვთა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრიდან წარმოდგელი ინფორმაცია.

ვ.ბ)ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

ვ.გ)დაბადების მოწმობის ასლი.

ვ.დ)განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

ვ.ე) ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენის პროგრამა ითვალისწინებს:

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენას. ერთ ოჯახზე არაუმეტეს 700 ლარისა. დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისია, რაც დამოკიდებულია ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკურ და ჯანმრ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

24 დეკემბერი, 2021 წელი

გაგრძელება

თელობის მდგომარეობაზე. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 70 000-მდე.

მათგან პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა)მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის ცნობა.

ბ)ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან. (სამიზნე ჯგუფებისთვის შესაბამისი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად)

გ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

რაც შეეხება სამკურნალო და საოპარაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას, აქ:

ა) სოციალურად დაუცველ 200 000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანების, 9 აპრილს დაზარალებული და დევნილი პირების სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 70%-ით არაუმეტეს 1000 ლარისა, აღნიშნული სამიზნე ჯგუფებისთვის 300 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად, ხოლო, 18 წლამდე ბავშვთა სამიზნე ჯგუფისთვის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინასდება სრულად. თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 3000 ლარს აჭარბებს, დახმარება გაეწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით.

ბ) სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა, რომელთა სარეიტინგო ქულა 200 000-მდეა, შშმ პირთა, ვეტერანთა, 9 აპრილის დაზარალებულთა, დევნილ პირთა სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევების დაფინანსება მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება წარმოდგენილი თანხის 50%-ით არაუმეტეს 500 ლარისა.

გ) სამედიცინო დამხმარე საშუალებების თანადაფინანსება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება უსინათლოთა ხელჯოხები, ხმოვანი წნევის აპარატები, სოციალურად დაუცველი (100 001 მდე სარეიტინგო ქულა) და ონკოლოგიური პაციენტების პროთეზის ან სხვა დამხმარე სამედიცინო საშუალებების თანხები. ზემოთჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფებისთვის 300 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინასდება სრულად, სამას ლარზე მეტი თანხის შემთხვევაში ბენეფიციარი ერთჯერადად დაფინანსდება 500 ლარით. 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ პირთა შაქრის საზომი აპარატის ჩხირების ყოველთვიური დაფინანსება. არაუმეტეს 120 ლარისა. (საჭიროების მიხედვით)

დ) პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენია დოკუმენტაცია:

დ.ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა- IV-100/ა), ანგარიშფაქტურა და კალკულაცია, საყოველთაო ჯანდაცვის საგარანტიო არსებობის შემთხვევაში, ცნობა ლიმიტის ამოწურვის შესახებ, სამედიცინო დამხმარე საშუალებების დაფინანსების ვაუჩერი, მისი არსებობის შემთხვევაში.

დ.ბ) ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან. სამიზნე ჯგუფთათვის შესაბამისი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტაცია.

დ.გ) დაბადების მოწმობის ასლი. (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში)

დ.დ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამის მიხედვით:

ონკოლოგიური დაავადების მქონე ბენეფიციარებს მედიკამენტებით დახმარება გაეწევათ ლიმიტის ამოწურვამდე 700 ლარამდე თანხით.

ბ) სოციალურად დაუცველ 200 001 ათას ქულის მქონე ბენეფიციართა მედიკამენტებით დახმარება; შშმ. პირთა მედიკამენტებით დახმარება; დევნილ პირთა მედიკამენტებით დახმარება; ვეტერანთა მედიკამენტებით დახმარება; ეპილეფსიით დაავადებულ პირთა მედიკამენტებით დახმარება; ფენილკეტონურიით ან სხვა იშვიათი დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებით დახმარება; აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი დაფინანსდება 300-500 ლარამდე თანხით. სიცოცხლისათვის საშიში დაავადებებისმქონე ბენეფიციარი ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით დაფინანსდება 500 ლარამდე თანხით.

გ პროგრამით სარგებლობისათვის საჭირო წარმოსადგენი დოკუმენტაციაა:

გ.ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა- IV-100/ა), ანგარიშფაქტურა და კალკულაცია, საყოველთაო ჯანდაცვის საგარანტიო არსებობის შემთხვევაში, ცნობა ლიმიტის ამოწურვის შესახებ.

გ.ბ) ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან. სამიზნე ჯგუფთათვის შესაბამისი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტაცია.

გ.გ) დაბადების მოწმობის ასლი. (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში)

გ.დ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამით გათვალისწინებულია:

ა) ონკოლოგიური ავადმყოფების სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება. ასევე, ამ მკურნალობის შედეგად განვითარებული დაავადებების მკურნალობის დაფინანსება განისაზღვრება მოთხოვილი თანხის 70%-ით, არაუმეტეს 1000 ლარისა (1500 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე). ონკოლოგიური პაციენტი რომელიც არის ასაკით პენსიონერი, შშმ პირი ან სოციალურად დაუცველი სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდება მოთხოვნილი თანხის 80 % -ით არაუმეტეს 1000 ლარისა. ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების ქიმიოთერაპიის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხის დაფინანსება განისაზღვრება სრულად ან და ლიმიტის ამოწურვამდე. თუ ონკოლოგიური ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდის მოცულობა 3000 ლარს აჭარბებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით.

ბ) სხვა სიმსივნული დაავადების მქონე პირებს სამედიცინო დახმარების გაწევა განისაზღვრება დაუფინანსებელი თანხის 50 %-ით. არაუმეტეს 700 ლარისა; სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევები მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება თანხის 50% არაუმეტის 300 ლარისა.

გ) ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევები მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება 800 ლარამდე თანხით ლიმიტის ამოწურვამდე.

პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

დ.ა)ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა- IV-100/ა), ანგარიშფაქტურა და კალკულაცია, საყოველთაო ჯანდაცვის საგარანტიო არსებობის შემთხვევაში, ცნობა ლიმიტის ამოწურვის შესახებ არსებობის შემთხვევაში.

დ.ბ)დაბადების მოწმობის ასლი. (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში)

დ.გ)განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის მიხედვით ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ტრანსპორტის ხარჯის თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვრება 100 ლარით, თანხის ჩარიცხვა ხდება ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში.

პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენია დოკუმენტაცია:

ა)ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა- IV-100/ა).

ბ)დაბადების მოწმობის ასლი. (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში)

გ)განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

დ) ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან.

ელექტროენერგიის და გაზის საფასურის გადასახადის დაფინანსების პროგრამით:

ა) სოციალურად დაუცველი (100 001 სარიტინგო ქულა) ოჯახებისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის ან გაზის ღირებულების დაფარვა განხორციელდება ყოველთვურად, დახმარების მისაღებად მოქალაქე განცხადებით მომართვის დროს ირჩევს დახმარების ტიპს.

ა.ა) მარჩენალდაკარგული ოჯახის დახმარება, სადაც არის 18 წლამდე ასაკის ბავშვი, ელექტროენერგიის ან გაზის გადასახადის დაუფინანსდება - 1 ბავშვზე 10 ლარის ოდენობით, ხოლო 2 და მეტ ბავშვზე 15 ლარის ოდენობით; სარეიტინგო ქულა 100 000-მდე.

ა. ბ) მარტოხელა მშობელი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი, ელექტროენერგიის ან გაზის გადასახადი დაუფინანსდება – 1 ბავშვზე 10 ლარის ოდენობით, ხოლო 2 და მეტ ბავშვზე 15 ლარის ოდენობით; სარეიტინგო ქულა 100 000-მდე.

ა.გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წელამდე ასაკის) და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახებს ელექტროენერგიის ან გაზის გადასახადი დაუფინანსდება– თვეში 10 ლარის ოდენობით; სარეიტინგო ქულა 100 000-მდე.

ა.დ) რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახები დაფინანსდება - 10 ლარის ოდენობით სარეიტინგო ქულა 100 000-მდე

ა.ე) მრავალშვილიანი ოჯახების, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და აქედან 2 მაინც არის არასრულწლოვანი, ელექტროენერგიის ან გაზის გადასახადის დაუფინანსდება 15 ლარის ოდენობით; სარეიტინგო ქულა 100 000-მდე

ა.ვ) სოციალურად დაუცველი ოჯახებს გაზის ან ელექტროენერგიის ღირებულება დაუფინანსდებათ (სარეიტინგო ქულა 65 000-დან 100 000-მდე) თვეში 10 ლარის ოდენობით.

ბ) სოციალურად დაუცველი (100 001 სარიტინგო ქულა) ოჯახებისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის ან გაზის ღირებულების დაფარვის განხორციელების მიზნით წარმოსადგენია დოკუმენტაცია:

ბ.ა) ამონაწერი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი აირის და გაზის მიმწოდებელი კომპანიებიდან მიმდინარე კომუნალური გადასახადის ოდენობის და აბონენტის ნომრის მითითებით.

ბ.ბ)ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან, სამიზნე ჯგუფებისთვის შესაბამისი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტაცია.

ბ.გ)განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

15. მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის პროგრამის მიხედვით:

სოციალურად დაუცველ ოჯახებს (100 001 მდე სარიტინგო ქულა) ერთჯერადად მიეცემათ საშუშე მერქნის შესაძენი თანხა 50 ლარის ოდენობით, სიღარიბის ზღვარს მიღმამყოფ და განსაკუთრებული საჭიროებებისმქონე ოჯახს 100 ლარის ოდენობით.

პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენია დოკუმენტაცია:

ა)ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან. (სამიზნე ჯგუფებისთვის შესაბამისი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად.)

ბ)განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

გ) ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან.

16. სოციალურად დაუცველი მოწყვლად ჯგუფებისთვის სადღესასწაულოდ საკვების გაცემის პროგრამა ითვალისწინებს:

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სადღესასწაულოდ საკვები ამანათების გადაცემა განხორციელდება შერჩეულ სამიზნე ჯგუფებზე. დახმარების მისაღებად მოქალაქე მიმართავს სამსახურს და მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ხორციელდება დახმარების მიმღებთა სიაში ბენეფიციარის მონაცემების შეტანა. პროგრამით სარგებლობისათვის მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ასლი.

17. მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამის მიხედვით:

სოფელი უდაბნოდან (კვირაში ორჯერ) და სოფელ სათაფლიდან (კვირაში ერთხელ) ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირება მთელი წლის განმავლობაში (დაფინანსება მოხდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად).

ბ) დახმარების პროგრამით გამიზნული აქტივობების (სოციალურად დაუცველი ოჯახების უფასო ტრანსპორტირება სხვადასხვა კლინიკაში სკრინინგ პროგრამების ჩასატარებლად, ასევე პანდემიის დროს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის აუცილებელი საკვების და საყოფაცხოვრებო საშუალებების სპეციალური ამანათების შესყიდვა–განაწილების ტრანსპორტირება განხორციელება.

18. ხანდაზმულ ბენეფიციართა დახმარების პროგრამის მიხედვით:

95 წელს მიღწეული ხანდაზმულთათვის გაიცემა ერთჯერადი თანხა 200 ლარის ოდენობით.

პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენია დოკუმენტაცია:

ა)ხანდაზულის ან მისი უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი.

ბ) ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან.

გ) ხანდაზმულის დაბადების მოწმობის ასლი მისი არსებობის შემთხვევაში.

19. უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯის გაცემის პროგრამის მიხედვით:

უპატრონო მიცვალებულების, რომელთაც არ ჰყავთ არც ერთი რიგის მემკვიდრე, ლტოლვილის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული შშმ პირთა და ხანდაზმულთა სათემო სახლში მცხოვრები მიუსაფარი პირების, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარდაცვლილი არაიდენტიფიცირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახის გარდაცვლილი პირის დაკრძალვის სარიტუალო ხარჯებისთვისთვის დახმარება გაიცემა 300 ლარის ოდენობით. (დახმარების მიმღები სოციალურად დაუცველი ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 100 000-მდე, სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი პირის შემთხვევაში დაკრძალვის სარიტუალო ხარჯი ერიცხება სოციალურად დაუცველ ოჯახის წევრს)

პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენია დოკუმენტაცია:

ა)გარდაცვალების მოწმობა

ბ)განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

გ)ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან.

20) პროგრამა: – სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის და მერიის ბალანსზე არსებული შენობა-თავშესაფრების დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მცხოვრები პირებისთვის მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა.

წარმოსადგენი იქნება დოკუმენტაცია:

ა)განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

21. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა ითვალისწინებს:

სტიქიით ან სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ასევე, მარტოხელა სტატუსის მქონე პირთათვის და ძალადობის ან/და ტრეფიკინგის მხვერპლთა საცხოვრებლით უზრუნველყოფას. ბავშვთა ზრუნვის პროგრამის ფარგლებში ბინის ქირით უზრუნველყოფას სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, ბინის ქირის უზრუნველყოფას ოჯახებისთვის, რომელთაც ჰყავთ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

<u>გაგრძელება</u>

ორი ან ორზე მეტი შშმ პირი. დახმარება განისაზღვრება თითოეულ კატეგორიაზე 105.27 ლარით. ქირით უზრუნველყოფა მარტოხელა სტატუსის მქონე პირთათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ძალადობის ან ტრეფიკინგის მხვერპლთათვის გაიცემა ექვსი თვის განმავლობაში.

პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) ინფორმაცია ალტერნატიული საცხოვრებელი რეგისტრირებული ფართის არ ქონის შესახებ.

ბ) საცხოვრებელი ფართის დაზიანების დამადასტურებელი ინფორმაცია.

გ)სამიზნე ჯგუფთათვის შესაბამისი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად.

დ)განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

22. უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“ უფასო სასადილოების დაფინანსება. დახმარება გაიცემა ყოველდღიურად საკვების სახით, სიღარიბის ზღვარს მიღმა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარებისთვის.

პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

ბ)ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან ან სამიზნე ჯგუფთათვის შესაბამისი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად.

23. ომის ვეტერანების და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა ითვალისწინებს:

საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯებისთვის დახმარებას გაიცმა 300 ლარის ოდენობით.

ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახის დახმარებისთვის თითოეულ ოჯახზე გაიცემა 500 ლარი.

გ) დიდი სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო და სარიტუალო ხარჯებით დახმარებისთვის გაიცემა 300 ლარი ფულადი საჩუქარი სადღესასწაულოდ, 250 ლარი დაკრძალვის სარუტუალო ხარჯისთვის.

დ) პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენია დოკუმენტაცია:

დ.ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

დ.ბ) ანგარიშის ამონაწერი ბანკიდან.

დ.გ) გარდაცვალების მოწმობა და ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

24. წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა

წითელი ჯვრის საგარეჯოს ფილიალი „ინტეგრირებულ საქმიანობათა ცენტრის“ ბაზაზე აქტიურად ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროებებისა და იძულებით გადაადგილებული პირების, სოციალურ მხარდაჭერასა და კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობების გაზრდაზე, მათ შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანული თემის უნარიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულ საქმიანობებს. იგი ასევე მუშაობს ახალგაზრდების გაძლიერების და მოხალისეთა ინიციატივების განვითარების მიმართულებით.

25. სტუდენტებსთვის სწავლის საფასურის დაფინანსების პროგრამის მიხედვით:

სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ დედით ან მამით ობოლ, სოციალურად დაუცველ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე შვილთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდნეტებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის, რომელთაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობელი ან მშობლები და ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში (სარეიტინგო ქულა 100 000) უმაღლეს საგამანათლებლო სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსება განისაზღვრება 1000 ლარამდე თანხით.

პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) ცნობა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ, ფაკულტეტის, კურსის და სწავლის საფასურის ოდენობის მითითებით.

ბ) სამიზნე ჯგუფთათვის შესაბამისი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად.

გ) ქულების ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

დ) პირადობის მოწმობის ასლი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

24 დეკემბერი, 2021 წელი

სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესის მიხედვით:

1. სამედიცინო მომსახურება დაფინასდება თუ:

ა. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებულია ან ფაქტობრივად ცხოვრობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გაანნია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა, ან სამიზნე ჯგუფისთვის შესაბამისი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტაცია ქვეპროგრამის მოთხოვნის შესაბამისად.

ბ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქულა მინიჭებულია 2019-2020-2021-2022 წელს. (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, თუ 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალური მომსახურების სააგენტოში გასულ წლებში და ორმოცდაათ ლარიანი დახმარების მიმღებია, ან/და რეგისტრირებული პირი „covid-19“ პანდემიის პირობებში სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრებულია 2016 წლიდან და სახელმწოფო სუბსიდიის მიმღებია და მისი ხელახალი გადამოწმება ხელს შეუშლის პანდემიის სუბსიდიის მიღებას). თუ სამსახურმა ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ვერ მიიღო ამომწურავი ინფორმაცია, სამსახური შეხედულებისამებრ უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმეტაცია. ასევე, საჭიროების შემთხვევაში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

2. „covid-19“ პანდემიის პირობებში შექმინილი ვითარებიდან გამომდინარე, სამსახურს შეუძლია გამონაკლისის სახით გაზარდოს ქვეპროგრამების ბენეფიტი, ბენეფიტის გაცემისა და მოცულობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისია.

3. სამსახური უფლებამოსილია ინიატივით მომართოს შესაბამის კომისიას სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში შესახლებული ბენეფიციარების ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტის დადგენის მიზნით და მოითხოვოს ხელშეკრულების განახლების წინ ინფორმაციის განახლება ალტერნატიული დარეგისტრირებული საცხოვრებელი ფართის არ ქონის შესახებ.

4. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრიტრებული ოჯახი, რომელიც განიცდის სტიქიური უბედურებების, კატასტროფებით, საგანგებო სიტუაციების, უბედური შემთხვევის ან სხვა ყოფითი გარემოებით გამოწვეულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და არ მიეკუთვნება დახმარების გაცემის წესით განსაზღვრულ არც ერთ კატეგორიას, მაგრამ ესაჭიროება სასწრაფო ან გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/ თანადაფინანსება ან მედიკამენტები, რომელთა ხარჯებიც არ იფარება სხვა სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებით და სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში ბენეფიციარის გადასახდელი თანხა ხუთი ათას ლარს აჭარბებს. განცხადებას განიხილავს და ბენეფიტის გაცემისა და მოცულობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი. კომისიის წლიური ბიუჯეტი განისაზღვრება 100 000 ლარით.

5. სამედიცინო მომსახურება არ დაფინასდება თუ:

ა. მოქალაქე ჩართულია კერძო სადაზღვევო სისტემაში (გარდა ონკოლოგიური პაციენტებისა, და 0-დან 18 წლის ასაკის ბავშვებისა).

ბ. თუ მოქალაქე გამოთქვამს სურვილს სამედიცინო მომსახურება მიიღოს ისეთ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელიც ჩართული არ არის სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამაში.

გ. საზღვარგარეთ მკურნალობა, (გარდა ონკოლოგიისა და 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისა) სქესობრივი გზით გადამდები დაავადება, უშვილობის მკურნალობა და სხვა. (საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება ქვეპროგრამი გამოყოფილი თანხის შესაბამისად.)

დ. ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული, სტომატოლოგიური მკურნალობა.

ე. უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება, გარდა გადაუდებელი შემთხვევისა, ან მოქალაქის მხრიდან უკვე ანაზღაურებულია თანხა. ანაზღაურდება გამონაკლისი შემთხვევა, თუ პაციენტი საავადმყოფოში მოთავსებული იქნა სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მიერ და საავადმყოფოს დატოვებს ანაზღაურების გარეშე საავადმყოფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ვ. არ დაფინანსდება ფიზიოლოგიური მშობიარობის ან საკეისრო კვეთის თანხა, თუ წარმოდგენილ კალკულაციაში მოთხოვნილი იქნება ექიმის აყვანის, პალატის არჩევის ან გაუტკივარების ღირებულება.

ზ. სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა;

ისიც ვთქვათ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს აღნიშნული პროგრამის განხორციელებას?!

აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელება და სხვადასხვა სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. უკიდურესად გაჭირვებულ პირთა სოციალური დაცვა მათი მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროგრამის ბენეფიციარები პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ ინფორმირებული იქნებიან შემდეგი გზით:

ა)ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები.

ბ)მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები.

გ)საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი.

დ) მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრა.

წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ შეკითხვები დასვეს დეპუტატებმა ოთარ ურდულაშვილმა და თამარ ყორღანაშვილმა.

ᲓᲦᲘᲡ წესრიგის ***მესამე საკითხზე*** – „საქართველოს 2021 წლის 25 მაისის №11 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა*** **ᲑᲔᲥᲐ ᲨᲕᲘᲫᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (თანამომხსენებელი: მუნიციპალიტეტის ***საკრებულოს სივრცითი მოწყობის, გარემოს დაცვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე*** **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲠᲝᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა:

– მომავალ – 2022 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოხდება მთელი რიგი პროექტების განხორციელება, რომელთა მოწონება და საკრებულოს დეპუტატთაგან მხარდაჭერა აუცილებელია. კონკრეტულად, ***ასეთი პროექტებია:***

სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები:

– სოფელ გიორგიწმინდაში – ჭაბურღილების, შემკრები რეზერვუარების და სატუმბი სადგურის, რომლის განსახორციელებლად 237579 ლარი გაიხარჯება, სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 11879 ლარით განხორციელდება;

უჯარმის თემის სოფელ **ᲛᲣᲮᲠᲝᲕᲐᲜᲨᲘ** გათვალისწინებულია სასმელი წყლის ჭაბურღილისა და რეზერვუარის მოწყობა, რომელზედაც 201958 ლარი გაიხარჯება. მუნიციპლიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 10098 ლარითაა განსაზღვრული;

– **ᲡᲝᲤᲔᲚ ᲣᲯᲐᲠᲛᲐᲨᲘ** სასმელი წყლის სათავე კვანძის დრენაჟისა და მაგისტრალის მოწყობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 50000 ლარით დაფინანსდება, ხოლო 170000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა.

– **ᲡᲝᲤᲔᲚ ᲕᲔᲠᲮᲕᲘᲐᲜᲨᲘ** სოფელ კაკაბეთიდან სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობაზე 585000 ლარიდან ადგილობრივი თანადაფინანსება 29250 ლარით მოხდება;

სანიაღვრე არხის მოწყობაა გათვალისწინებული:

ქალაქ საგარეჯოში არსებული ***ჩოლოყაშვილის*** ქუჩაზე, რასაც 34925 ლარი მოხმარდება, აქედან 1746 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან 33179 ლარი გამოიყოფა.

– ***სოფელ კაკაბეთში*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1-ის შენობის ასაშენებლად 537877 ლარიდან 26894 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით განხორციელდება.

ასევე, მოასფალტდება შემდეგი ქუჩები: ქალაქ საგარეჯოში:

– ცხვედაძის სახელობის ქუჩა – 813701 ლარი, თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 40685 ლარი;

მიხეილ ქვლივიძის ქუჩა – 270009 ლარი, თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 13500 ლარი;

ბესიკის ქუჩა – 724857 ლარი, თანადაფინანსება – 32542 ლარი;

ნ. ჭანტურიას სახელობის – 668515 ლარი, თანადაფინანასება – 32542 ლარი;

– მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიმდებარე ქუჩის – 327853 ლარი, თანადაფინანსება – 16393 ლარი;

– კახეთის ქუჩის – 319942 ლარი, თანადაფინანსება – 15997 ლარი;

– ნატო ვაჩნაძის ქუჩის – 367191 ლარი, თანადაფინანსება – 18360 ლარი;

მშვიდობის – 691540 ლარი, თანადაფინანსება 34577 ლარი;

– ბარნოვის, რობაქიძის, 9 ძმის სახელობის – 289875 ლარი, თანადაფინანსება – 14494 ლარი;

– იმედის ქუჩაზე მდებარე №19, №21, №23, №25 საცხოვრებელი კორპუსების ეზოების – 479007 ლარი, თანადაფინანსება – 23951 ლარი;

– თამარ მეფის ქუჩაზე ორ საცხოვრებელ კორპუსთან არსებული ეზოების – 115649

<u>დასასრული მე-6 გვერდზე</u>

№№1-2(255-256) 2022 წელი, 1-31 იანვარი

გაგრძელება მე-5 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

24 დეკემბერი, 2021 წელი

დასასრული

ლარი, თანადაფინანსება – 5782 ლარი;

– ქალაქის №11 ქუჩის – 246296 ლარი, თანადაფინანსება – 12315 ლარი;

– №13-ის – 247878 ლარი, თანადაფინანსება – 12394 ლარი;

– №14-ის – 232452 ლარი, თანადაფინანსება – 11623 ლარი;

– სოფლების – ზემო და ქვემო ყანდაურის დამაკავშირებელი გზის – 1663227 ლარიდან თანადაფინანსება – 83161 ლარი;

სოფელ კაკაბეთში:

– ე.წ. „ღვინიაანთ უბნის“ – 180173 ლარი, თანადაფინანასება – 9009 ლარი;

– ღვთისმშობლის ეკლესიასთან მისასვლელი გზის – 123197 ლარი, საიდანაც თანადაფინანსება 6160 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდება;

სოფელ პატარძეულში:

– ე.წ. „უსტიაანთ უბნის“ ქუჩის – 1648668 ლარი, რაც 1566235 ლარით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ხოლო ადგილობრივიდან – 82433 ლარით.

– ე.წ. „ყუშიტაანთ უბნის“ ქუჩის – 447668 ლარი, ადგილობრივიდან – 22384 ლარით.

– ხიდთან ჩასასვლელი გზის – 88130 ლარი, რაც 83724 ლარით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, 4407 ლარით – ადგილობრივიდან;

საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის – 60095 ლარი, ადგილობრივიდან 3005 ლარი.

სოფელ პატარა ჩაილურში:

– ცენტრალური ქუჩის – 288360 ლარი, ადგილობრივიდან – 14418 ლარით დაფინანსდება აღნიშნული ქუჩის მოასფალტება;

– ასევე, მოასფალტდება სოფლის ქუჩა, რაზედაც 650835 ლარი გაიხარჯება, აქედან, 618293 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა, 32542 ლარი კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

სოფელ მზისგულში:

– გზის (სკოლასთან) მოასფალტებაზე 745100 ლარია განსაზღვრული, აქედან 37255 ლარით ადგილობრივი ბიუჯეტიდან იქნება გამოყოფილი, 707845 ლარი კი – სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

სოფელ ყანდაურაში:

– სასაფლაოსთან მისასვლელი გზა სულ 684815 ლარი იქნება გამოყოფილი, სადაც 34241 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდანაა განსაზღვრული;

სოფელ თოხლიაურში:

– სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან მისასვლელი გზის მოასფალტება – 267834 ლარი, რაშიც 22384 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან იქნება გამოყოფილი;

ცემენტბეტონის გზის მოწყობა:
სოფელ პატარძეულში

ხიდთან ჩასასვლელ გზაზე – 88120 ლარიდან 83724 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ხოლო 2710 ლარი გამოიყოფა ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

– ასევე, ***საგარეჯოში*** ე.წ. გაღმაუბნის სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე, რაზედაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 358011 ლარი გამოიყოფა, ხოლო 18843 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან (სულ 376853 ლარი);

სოფლების **თულარისა** და **კაზლარის** ცენტრალურ დამაკავშირებელ გზაზე:

აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 229495 ლარია გამოყოფილი, ადგილობრივიდან – 12079 ლარი, სულ 241574 ლარი;

სახლის სახურავის რეაბილიტაცია

ქალაქ საგარეჯოში არსებული ე.წ. „მასწავლებლების“ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილია 45814 ლარი, საიდანაც 43523 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდანაა გამოყოფილი, ხოლო 2291 ლარი – ადგილობრივიდან;

დეპუტატებიდნ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს **ალექსი გილაშვილმა და ავთანდილ გულიკაშვილმა.**

დღის წესრიგის ***მეოთხე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ“*** მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ***ელენე სამხთუაშვილმა***.

წყალმომარაგება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 10 სოფელში, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, საკომუნიკაციო ქსელისა და ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სოფლების ბადიაური - ყანდაურის სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის სამონტაჟო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

პროექტის ჯამური ბიუჯეტი - 11 779 999 ლარს შეადგენს.

სამუშაოების დასრულების შედეგად, ასობით ოჯახი უწყვეტ წყალმომარაგებას მიიღებს.

საგარეჯოს მუნიციპალტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა, მონიტორინგის მიზნით, საკრებულოს თავჯდომარე ალექსი გილაშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ე. წ. ნასადგომარის წყლის გარდამავალი პროექტის მიმდინარე სამუშაოები ადგილზე მოინახულა და კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებს გაესაუბრა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მოეწყო 4 ჭაბურღილი, წყლის შემკრები რეზერვუარი, დამონტაჟდა ცენტრალური მაგისტრალი და სატუმბი სადგური.

დარჩენილი სამუშაოები დაქსელვა-გამრიცხველიანებას ითვალისწინებს, რის შემდეგაც, სოფელ გიორგიწმინდისა და ანთოკ-მარიამჯვრის მოსახლეობას 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება.

ინფრასტრუქტურა _ 2022 წესრიგდება

გზა

კიდევ ერთი მრავალწლიანი პრობლემა გადაიჭრა - სოფელ კაკაბეთში, ღვთისმშობლის ტაძართან მისასვლელ გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

სოფელ კაკაბეთში, ე.წ ღვინაანთ უბანში 520 გრძივი მეტრი შიდა საუბნო გზის მოასფალტების სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

ასფალტის საფართან ერთად სანიაღვრე სისტემის და ეზოს შესასვლელების მოწყობაც ხორციელდება.

ირიგაცია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდების გასაუმჯობესებლად, შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის წყალგამანაწილებლის აღდგენით სამუშაოებს ატარებს.

სოფელ შიბლიანის ტერიტორიაზე მოეწყო 800 მეტრი სიგრძის დახურული ქსელი, გამანაწილებელი ჭები და სარეგულაციო კვანძები.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, წყალუზრუნველყოფა გაუმჯობესდება საგარეჯოსა და გურჯაანის მუნიციპლიტეტების სოფლების - შიბლიანის, ზემო კაჭრეთისა და ჯიმითის 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე; შემცირდება წყლის დანაკარგი; ზედაპირულად წყლის დინებისგან სავარგულების დაჭაობების საფრთხე აღარ იარსებებს.

საირიგაციო სისტემაზე მიმდინარე სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

როგორ ვხვდებით ახალ წელს

ქართული ტრადიციები

ახალი წლის თარიღს საქართველოში ხშირად ცვლიდნენ. მეშვიდე საუკუნემდე ახალ წელს აგვისტოში აღნიშნავდნენ, მეშვიდე საუკუნიდან მეცხრე საუკუნის დამდეგამდე - სექტემბერში, შემდგომ კი ახალი წელი მარტში გადაიტანეს. მარტში ახალი წლის აღნიშვნა გამართლებულიც იყო. რაღა მაინც და მაინც შუა ზამთარში? წელიწადი ხომ გაზაფხულით იწყება?! რაც შეეხება შობას, ამ დღესასწაულს ჩვენში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რაზეც დეკემბრის ქართული სახელწოდება - ქრისტეშობისთვეც მეტყველებს.

მეკვლეს ფენომენი

ზოგადად ახალი წელი კარგი საშუალებაა "ძველის დასავიწყებლად და ახალი ცხოვრების დასაწყებად" პირობითი ზღვარი რომ გაავლო. ამიტომ ყველა ცდილობს, ახალი წლის დღეებში ცუდზე ნაკლები იფიქროს და კამპანიისთვის ისეთი ადამიანები შეარჩიოს, ვისთანაც თავს ყველაზე კარგად იგრძნობს.

გარდა ამისა, ახალი წელი ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი დღესასწაულია და მისი მთავარი ხიბლიც ისაა, რომ უკლებლივ ყველა ოჯახში აღინიშნება. ტრადიციულად, ამ დღესასწაულის შინაარსიც სწორედ რამდენიმე სუფრის შემოვლასა და ახლობელი ოჯახების მილოცვა-დალოცვაში მდგომარეობს, რაც გარკვეული წესრიგის დამყარებას მოითხოვს.

წესრიგი კი მარტივად მყარდება, ტრადიციების მიმდევარი ადამიანები ღამის 12 საათს საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარი ოჯახის წევრებთან ხვდებიან, რის შემდეგაც წინასწარ შეთანხმებული მიმოსვლა იწყება. თუმცა მანამდე მეკვლეობის მნიშვნელოვანი რიტუალია ჩასატარებელი.

მეკვლეობა, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციიდან იღებს სათავეს. სტუმრის მიღება, ტრადიციულად, ოჯახის ღირსებად ითვლება და ქართველ კაცსაც უჩნდება პრეტენზია - ეს ღირსება ახალ წლის პირველ წუთებშივე დაიცვას. მეკვლე, პირველ ყოვლისა, სტუმარს ნიშნავს და ოჯახის წევრის გარეთ გასეირნება და უკან შემობრუნება მეკვლეობად არ ითვლება.

ელგუჯა იოსელიანი, ***ეთნოგრაფი***: "თვითონ სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე, მეკვლემ ოჯახისკენ მიმავალი გზა უნდა გაკვალოს. თუმცა კვალიც არის და კვალიც, და ეს კვალი, პირველ რიგში, "ფეხზეა" დამოკიდებული.

ქართველი კაცი, უცხო ოჯახში რომ შედის, კეთილი იყოს ჩემი ფეხიო -ამბობს. უცხო ფეხის შემოდგმას ოჯახში სიმბოლური დატვირთვა აქვს და "კეთილი და ბოროტი" ფეხის ცრურწმენა ჩვენში მხოლოდ ახალ წელს არ უკავშირდება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ღირსეულ ოჯახს სტუმრისთვის კარი ყოველთვის ღია უნდა ჰქონდეს, საახალწლო სტუმარს არა რაღაც "სასურველი", არამედ აუცილებელი სტატუსი ენიჭება. ამისთვის კი ეს საკითხი წინასწარ უნდა მოაგვარო.

საერთოდ, მეკვლეს ძველ საქართველოში წინასწარ ირჩევდნენ. პირველ რიგში, ის ოჯახის ახლობელი და სასურველი სტუმარი უნდა ყოფილიყო. ეს ტრადიცია დღესაც შენარჩუნებულია. მაგრამ ისეთებიც არიან, ცხოვრებაში კაცისთვის არაფერი რომ არ უწყენინებიათ, მაგრამ მათი სტუმრობა თუ უბრალო დანახვა ვიღაც-ვიღაცეებს ცუდად აქვთ დაცდილი. მეკვლედ, რა თქნა უნდა, ასეთ ადამიანს არ დაპატიჟებ.

"შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი - კვალი ანგელოზისა", ასეთია მეკვლის დალოცვა.

სხვადასხვა კუთხეში ეს რიტუალი სხვადასხვანაირი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მეკვლე ვენახში შედიოდა და საგანგებოდ შემონახულ ყველაზე დიდ მტევანს, კარგ "ყორ ვაზთან" დაწურავდა იმის ნიშნად, რომ წელი მოსავლიანი ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში, მეკვლეს ხორბალი შემოჰქონდა და იატაკზე მთესველივით ფანტავდა".

ადრექრისტიანული საახალწლო რიტუალები

საქართველოში ასეთი რიტუალები სრულდებოდა: საახალწლოდ ყურძნის უხვი მოსავლის მიღების მიზნით საგანგებო პურს აცხობდნენ, რომელსაც ქართლში, იმერეთსა და რაჭაში ყურძნის მტევნის მოყვანილობა ჰქონდა. გურიაში კი, კვერის სახით ცხვებოდა და მას აგუნას პური ეწოდებოდა.

საახალწლო დღესასწაულზე სახლეულის მეთაური ჯალაბითურთ, დანთებული თაფლის სანთლებით, შედიოდა მარანში და იქ, სადაც საწნახელი იდგა, თან მიჰქონდა ხაჭაპური, ღვინო და ღორის თავი. ოჯახის უფროსი ამობრუნებულ საწნახელს თოხის ან ნაჯახის ყუას ურტყამდა და სიმღერით ღვთაებას შესთხოვდა:

"აგუნა, აგუნა გადმიარე,
ბახვი,ასკანა, გადმოიარე,
ჩვენს მამულში ყურძენი,
სხვის მამულში ფურცელი,
ჩვენს მამულში გოდორ-გოდორი
სხვის მამულში კიმპალ-კიმპალი" და ა.შ.

სიმღერა სამჯერ მეორდებოდა და პატარა ტაბლას მიუსხდებოდნენ. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კერპთთაყვანისმცემლობის დროს აგუნა ნაყოფიერებისა და სიუხვის მფარველად იყო მიჩნეული.

აგუნა-აგუნას მსგავსი წესი ჰქონდათ სამეგრელოშიც. საახალწლოდ გამომცხვარ ოთხ ხაჭაპურს გიდელში (ყურძნის საკრეფი კონუსისებური მოწნული კალათა) აწყობდნენ და გოგონას მარნისაკენ ატანდნენ. ამავე დროს, პატარა ბიჭს მარნიდან ერთი დოქი ღვინო გამოჰქონდა და გოგონას შესახვედრად მოემართებოდა. შეხვედრისას იმართებოდა ჭიდილი, გამარჯვებულს მთელი ნადავლი მარანში შეჰქონდა, სადაც ოჯახის წევრები იყვნენ თავმოყრილნი. იწყებოდა სარიტუალო სმა-ჭამა, აქაც საწნახელს გადააბრუნებდნენ და აგუნას წლის ბარაქას ავედრებდნენ.

ჭიდილში თუ ბიჭი გაიმარჯვებდა, იმ წელიწადს პურის და ღვინის მოსავალი კარგი იქნებოდა, თუ გოგონა - აბრეშუმისა და ყველა იმ მცენარეების, რომელთაც ქალი უვლიდა.

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ასეთი წესიც იყო - ახალი წლის დილას მამალს კოდავდნენ, ოჯახის უფროსი სახლს შემოუვლიდა და "ვაზის პურით", დოქი ღვინითა და დაკოდილი მამლით ვენახში მიდიოდა, სადაც უხვი მოსავლის თხოვნით ლოცვას აღავლენდა, შემდეგ ყვერულს მიწაში ჩაფლავდა, ვაზის პურს ღვინოს დააყოლებდა, ნაწილი კი მამალთან ერთად კვლავ სახლში მიჰქონდა. როგორც ჩანს, ვაზისა და მამლის ერთმანეთთან დაკავშირება, სიუხვისა და მოსავლიანობის სიმბოლოთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

მთაში საქონლის დალოცვა იცოდნენ. ოჯახს რომ დალოცავდნენ, გომურში შედიოდნენ, გატეხავდნენ კვერცხს და საქონელს ტანზე უსვამდნენ, რათა იმ წელიწადს არ გაბერწებულიყო და კარგი ნაშიერი ჰყოლოდა.

იყო ასეთი რიტუალიც, როცა ხარი მდინარეზე ჩაჰყავდათ, წყალში ჩააყენებდნენ, მდინარის წყალს თვითონაც დალევდნენ და რქებზე სანთლებს აანთებდნენ. მერე სახლში შეჰყავდათ და კერას სამჯერ შემოატარებდნენ. შემდეგ მეკვლე მუგუზალს იღებდა, კერაში ურტყამდა და ნაპერწკლების ყოველ გაცვენაზე ილოცებოდა: "ამდენი ხარი, ამდენი ცხორი, ამდენი დოვლათი.." ნაპერწკალიც სიმრავლის სიმბოლო იყო.

ახალი წელი სამეფო კარზე

საქართველოს სამეფო კარის საახალწლო ეტიკეტი გამორჩეული იყო: მეფის საზეიმო შემოსვლა, მეკვლე, მილოცვები..

ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე, მეჯინიბეთუხუცესი მეფეს სამ ცხენს მიართმევდა, ორი სამეფო ცხენი იყო, ერთი კი - ჯაგლაგი. ჯაგლაგს კლავდნენ და ხორცს სანადიროდ შეგულებულ ადგილას ყრიდნენ, რათა სუნით ნადირი მიეტყუებინათ.

ცისკრის ლოცვის წინ, სამეფო ოჯახში ჭყონდიდელი ჯვრითა და ხატით შემოდიოდა და ის უკვლევდა. ცისკრის ლოცვის შემდეგ კი, ნადირობა იმართებოდა. ამ დღეს ნადირისთვის არ უნდა აეცდინათ და ვისაც მიზანი უმტყუვნებდა, იმას წელი ცუდად წაუვიდოდა.

საახალწლო მორთულობები

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჩიჩილაკს დგამდნენ, აღმოსავლეთში კი - ნაძვის ხეს. ნაძვი სიცოცხლის, მარადიულობის სიმბოლოა, ჩიჩილაკს კი მეორენაირად ბასილასაც ეძახიან, მზის ფორმა აქვს და თავისი შინაარსით ესეც სიცოცხლეს განასახიერებს. მას ძირითადად თხილის ხისგან ამზადებენ და მერქნის ანათალების ბურბუშელას ხილითა და "ფოჩიანი კამფეტებით" რთავენ.

ჩიჩილაკის მოსართავად კუნელსაც იყენებდნენ, რომელსაც ოთახში ტყისა და ბუნების ეფექტი შემოაქვს. კუნელის წითელ მარცვლებს, მძივივით აასხამენ და ბურბუშელაზე გარშემო ახვევენ.

ჩიჩილაკის თავი ოთხადაა გაყოფილი, ჭრილში ჯვარს სვამენ და ამ ჯვარზე ვაშლებს (ახლა უკვე ფორთოხლებსაც) და ბროწეულებს კიდებენ. ბროწეული სიმრავლის სიმბოლოა, ვაშლები კი, სიჯანსაღის. ზოგიერთები, უხვი წლის იმედით აბაზიანებს ჭედავდნენ და ჩიჩილაკზე ჰკიდებდნენ.

ჩიჩილაკზე გაპუტულ ყვინჩილასაც კიდებენ, რომელსაც ბოლოსა და ფრთებზე ბუმბულები აქვს დატოვებული.

იმერლები ჩიჩილაკს ენდროთი წითლად ღებავდნენ. არსებობს გურული ე. წ. კალპიანი ჩიჩილაკიც.

საახალწლო სუფრა

რაც შეეხება საახალწლო სუფრას. ძველი ქართული საახალწლო სუფრა ნამდვილად არ იყო ისეთი უხვი და მრავალფეროვანი, როგორც დღევანდელი, მაგრამ ასეთ სუფრაზე ყველაზე კარგად ჩანდა საქართველოს ცალკეული კუთხეების გასტრონომიული ტრადიციები და ზოგადად სუფრის ფენომენისადმი დამოკიდებულება.

დავით კობიძე, ***ეთნოგრაფი***: "***იმერეთი*** თავისი სამზარეულოთი ყოველთვის გამოირჩეოდა საქართველოს სხვა კუთხეებისაგან და ეს საახალწლო სუფრაზე ყველაზე კარგად ჩანდა. მხალეულობისა და საკმაზის მრავალფეროვნება და ხორცეულის მეტად ორიგინალურად დამუშავების ცოდნის გამო, იმერული სუფრა რაც არ უნდა ღარიბული ყოფილიყო, მაინც გემრიელი იქნებოდა. ***მთაში*** ძირითადად ხორცეულისაგან ამზადებდნენ კერძებს, უმეტესად ყოველგვარი საკაზმის გარეშე და იქაურ სუფრას ნამდვილად აკლდა მრავალფეროვნება. ***ქართლ-კახეთში*** საშობაო-საახალწლო სუფრის მშვენებად ითვლებოდა (და სხვათა შორის, დღესაც ითვლება) ნაზუქები. სამეზობლოში რომელი ქალიც ყველაზე კარგ ნაზუქებს დააცხობდა, მომავალ წელს ლხინისა თუ ჭირის სუფრებზე სწორედ ის ქალი ინიშნებოდა ქალების ხელმძღვანელად და მთავარ მზარეულად. მეგრულ საახალწლო სუფრაზე ტრადიციული კერძების გარდა, (ღომი, ელარჯი, გებჟალია და სხვა..) აუცილებლად კეთდებოდა რაიმე უცხო, მეგრული სუფრისათვის ნაკლებად დამახასიათებელი საჭმელი. ეს სუფრას განსაკუთრებულ ლაზათს აძლევდა".

ახლა რაც შეეხება სასმელს.

ძველქართულ საახალწლო სუფრაზე ღვინო აუცილებლად უნდა ყოფილიყო. ცნობილი ამბავია, რომ სვანები, მთიულები, ფშავლები და სხვა მთაში მცხოვრები ქართველები, ახალი წლის წინა დღეებში ბარში ჩადიოდნენ ღვინის საყიდლად, რადგან უბრალოდ არ არსებობდა საახალწლო სუფრა ღვინის გარეშე. მთაში რა თქმა უნდა, სუფრაზე ლუდიც იყო და არაყიც.

ჩინური ტრადიციები

2022 წლის მოკლე ასტროლოგიური მიმოხილვა

რას მოგვიტანს შავი ვეფხვი

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით 2022 წლის, რომელიც 1-ელ თებერვალს დადგება, მმართველი შავი ვეფხვი იქნება - ლამაზი, მიზანმიმართული, "ხასიათიანი" ცხოველი. წლის სტიქია კი წყალია. ვეფხვის შემობრძანებისთანავე დაიწყება ცვლილებები, დინამიკური მომენტები, დაუვიწყარი თავგადასავლები. გაუმართლებთ ამბიციურ, მიზანმიმართულ ადამიანებს. მაგრამ დიპლომატიაც მოგეთხოვებათ, აგრეთვე, ინტუიცია, ინტელექტი.

ფინანსური სიტუაციის გაუმჯობესება თუ გსურთ, შეადგინეთ სამოქმედო გეგმა, იყავით პუნქტუალური და გამოავლინეთ პასუხისმგებლობის გრძნობა. კარგ შედეგს მოგიტანთ მივლინება, მოგზაურობა შვებულობის დროს. რაც შეეხება სიყვარულს, მოსალოდნელია მყარი კავშირის შექმნა. დაწყვილებულების ცხოვრებაში კი მოიმატებს გაღიზიანებულობა. მოიცილეთ ყველაფერი, რაც გიშლით ჰარმონიის შენარჩუნებაში ოჯახში - ეჭვიანობა, ბრაზი და ეგოისტური გამოხდომა. 2022 წელს უმჯობესია, ხელმომჭირნეობა, ფულის გონივრული ხარჯვა და დაგროვება. ნუ გარისკავთ და ფულს ნუ დააბანდებთ საეჭვო საქმიანობაში.

მაქსიმალური დისციპლინის გამოვლენა მართებთ ლიდერებს, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფ პირებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ***ჩინურ ასტროლოგიაში ვეფხვი ბრძოლისა და ბუნტის განსახიერებაა.*** მასობრივი სკანდალიც შეუძლია გამოიწვიოს, საზოგადოებრივი მღელვარებაც და საომარი ქმედებებიც. სამყაროში ბრძოლა წარიმართება ბუნებრივი სიმდიდრის - გაზი, წყალი, ნავთობი, ძვირფასი მეტალი - გამო.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელია დაბნელებების პერიოდში: 30 აპრილს, 16 მაისს, 25 ოქტომბერს, 8 ნოემბერს.

ბედნიერების პლანეტა იუპიტერი თევზებში იქნება და მეტად გაუმართლებთ წყლის სტიქიის წარმომადგენლებს (კირჩხიბი, მორიელი, თევზები). მიწის სტიქიის წარმომადგენლები - კურო, ქალწული, თხის რქა - გამარჯვებას ელოდეთ კარიერაში. მეტი მობილიზებულობა მართებთ ჰაერის ნიშნებს: ტყუპი, სასწორი, მერწყული. ცეცხლოვანი ნიშნები - იმპულსურები იქნებიან, თქვენ წყალთან კონტაქტი (აუზი, საუნა, შხაპი) დაგამშვიდებთ.

ვეფხვის პერიოდში განვითარდება ტექნოლოგიები, ფსიქოლოგია, მედიცინა. უნდა ჩამოყალიბდეთ საკუთარ მისწრაფებებსა და მიზნებში. აკონტროლეთ ემოციები და მიიღეთ დეტალურად გათვლილი გადაწყვეტილებები. მუშაობისას იყავით დაკვირებული. გამოავლინეთ ამტანობა. ვეფხვს რომანტიკული და ბედნიერი ქორწინება სურს. ზოგადად, გირჩევთ, 2022 წელს მეტი დრო და ყურადღება დაუთმოთ ოჯახს, სახლს, ბავშვებს. იზრუნოთ ოჯახური ღირებულებების შენარჩუნებაზე, წინაპრების ტრადიციების აღდგენაზე. მარტოხელებს რომანტიკული ნაცნობობა გელით. მოიმატებს ხანმოკლე რომანების რაოდენობაც. 2022 წელი საუკეთესოა ჩასახვისა და შვილის გაჩენისთვის. ოჯახში ვეფხვის დაბადება კი აღმოსავლეთში ბედნიერი ნიშანია.

წლის მბრძანებელს კარგი დამოკიდებულება აქვს ძაღლთან, დრაკონთან, ცხენთან, მაიმუნთან და ვეფხვთან. ცოტა დაძაბულობა შეინიშნება: კურდღელთან, ტახთან, ხართან, გველთან და მამალთან.

ფენ შუი მიხედვით 2022 წლის სტიქია - წყალი მკვეთრი ემოციების, სულიერებისა და ინტუიციის სიმბოლოა. წყლიანი ვეფხვის პერიოდში დაბადებული ადამიანი გამოირჩევა სიბრძნით, ემოციურობით და ამიტომაც შეუძლიათ ემოციების კონტროლი. მან იცის ყველაფერის დეტალურად გარკვევა, გეგმიური და გააზრებულია. უჯვარს დაწყებული საქმეების ბოლომდე მიყვანა.

2022 წელს უნდა მოუფრთხილდეთ შარდსასქესო სისტემას, თირკმელებს. არ უნდა დაარღვიოთ ორგანიზმში წყლის ბალანსი. უარი უნდა თქვათ ალკოჰოლზე. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოთ წყალთან ეგზოტიკურ ქვეყნებში მოგზაურობისას. აგრეთვე სიფრთხილე გმართებთ უცხო და აკრძალულ ადგილებში ბანაობისგან.

2022 წლის ფერებია: ყვითელი, ცისფერი, წითელი და მწვანე. ამ ოთხი ფერის გამოყენება (სამოსში, აქსესუარებში) წარმატებას მოგიტანთ საქმეებში, მოლაპარაკებებისას, მოგზაურობისას. თუ სიყვარულის მიზიდვა გსურთ, წითელს მიანიჭეთ უპირატესობა. ხოლო, თუ გსურთ, უძრავი ქონების პატრონი გახდეთ, ყვითელს დაუმეგობრდით. წარმატების მომტანი რიცხვებია 1, 3, 4 და მათი კომბინაციები: 43, 13, 34 და ა.შ.

როგორ შევხვდეთ 2022 წლის 1 თებერვალს

ვეფხვს რომ ასიამოვნოთ, ხმაურიან და მასშტაბურ წვეულებას ოჯახური გარემო ამჯობინეთ ან - ნათესავებთან სტუმრობა. 2022 წელს ჩაცმულობაში "ვეფხვური" პრინტი იქნება მოდური. ვეფხვს მოსწონს ძვირფასი, მაგრამ მოკრძალებული აქსესუარები - ძვირად ღირებული, მაგრამ მინიატურული. ჩაიცვით წითელი, მაგრამ არა მყვირალა, ცისფერი (ფირუზისფერი), ნაცრისფერი, შავი ფერის სამოსი. როგორ შევხვდეთ 2022 წელს წლის სიმბოლოს მეტალის ან მინის ფიგურა გამოსაჩენ ადგილას უნდა დადოთ, თან ატარეთ ვეფხვის მეტალის აქსესუარი. ნუ დაგავიწყდეთ, საახალწლო სუფრაზე ვეფხვთან ერთად ხარის ფიგურის დადგმაც. რადგან 31 დეკემბერს, როცა ჩვენ ახალ წელს აღვნიშნავთ, აღმოსავლური ახალი წლის დადგომამდე ჯერ ხარია წლის მმართველი. სახლი მორთეთ მოკრძალებულად, ვერცხლისფერ, ოქროსფერ, ცისფერ, ლურჯ ფერებში. მოერიდეთ სინთეტიკური და იაფფასიანი აქსესუარების გამოყენებას. უპირატესობა მიანიჭეთ ბროლს, მეტალს. სუფრაზე ხორციანი (ქათამი, კურდღელი, ღორი) კერძების გვერდით უნდა გქონდეთ მწვანილი, ხილი, სანელებლები.

მართლმადიდებლობა

7 იანვარი – შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

დიდხანს ელოდა ადამიანი მაცხოვრის გამოჩენას. ელოდა იმ დღიდან, როცა სამოთხიდან განდევნილებს იმედად გამოაყოლათ ღმერთმა:

- მოგივლენთო მხსნელს და გაუსრესსო გველს თავს.

მშობლიურ გარემოს მოცილებულნი სევდითა და სასოებით ელოდნენ. მაგრამ ცოდვებით დღითი-დღე დამძიმებულნი სულ უფრო და უფრო ეშვებოდნენ ქვესკნელისკენ.

ისევ შემოქმედმა შეაშველა ხელი. წაღმა შემოატრიალა ეშმაკის მიერ უკუღმა დატრიალებული ცხოვრების ჩარხი და იწყო ათვლა ახალმა წელთაღრიცხვამ მიწიდან ცისკენ. და დაედო ამ წელთაღრიცხვას საძირკვლად ქრისტეს შობა.

ჩუმად თავისთვის ამობრწყინდა ცაზე უჩვეულოდ მოკაშკაშე ვარსკვლავი, მაგრამ ვისთვისაც ამობრწყინდა, ვერ გულისხმაჰყვეს. არც აუწევიათ თავი ცისკენ. იყვნენ ამქვეყნიურ ორომტრიალში ჩაფლულნი. შორს აღმოსავლეთში კი მოგვებმა მაშინვე შეამჩნიეს იგი და ისწრაფეს კიდეც მისკენ.

გარშემო კი დუღდა და ჩქეფდა ცხოვრება. დიდებულ პალატებში, სრა-სასახლეებში რბილ, ფაფუკ ხალიჩებზე დააბიჯებდნენ ამა ქვეყნის მესვეურნი. ის კი, მაცხოვარი, განხორციელებული სიტყვა, იესო ქრისტე, უფალი ჩვენი ჩვეულებრივი ჩვილი ბავშვივით იწვა ცხოველთათვის განკუთვნილ ბაგაში და ადამიანებს შობისთანავე უმხელდა უდიდეს საიდუმლოს: სიმდაბლეშიაო ადამიანის დიდება. ამქვეყნიური ყოფა და ფუფუნება კი არ განსაზღვრავსო ადამიანის პიროვნებას, არამედ ის, რაც მის შიგნითაა, მისი შინაგანი სამყაროთი წარმოჩინდებაო იგი. ასე ასწავლიდა მორჩილებითა და თავმდაბლობით გადარჩებაო ადამიანი. ამ სიბრძნისგან კი შორს იდგნენ ადამიანები. ამიტომაც იყო ერთი, უბრალო, ღარიბული ქოხიც კი არ აღმოჩნდა, რომ შეეფარებინა უფალი, უფალი, რომლის შობასაც ასე უგალობეს ანგელოზებმა:

- დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

და იშვა იესო, ბეთლემს, გამოქვაბულში, სადაც უამინდობისას მწყემსები საქონელს აფარებდნენ.

„ქალწული შობს დღეს მაცხოვარს“ - გალობს წმიდა ეკლესია და ურწმუნოთათვის ალბათ დაცინვის საბაბიც ხდება ეს:

- როგორ დღეს?! განა ორი ათასი წლის წინ არ იშვა?!

საერთოდ საეკლესიო დღესასწაულები საეროსგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ისინი ყოველწლიურად ისეთივე სიკაშკაშით გამოირჩევიან, როგორც პირველშობისას. სულ სხვაა საერო დღესასწაულები. რამდენი ღირსშესანიშნავი თარიღი შემოუნახავს კაცობრიობის ისტორიას, დროთა მსვლელობაში რომ გაფერმკრთალებულან, ფერი უცვლიათ. საეკლესიო დღესასწაულთა განცდა კი მორწმუნეთა გულებში კვლავ ინარჩუნებს პირვანდელ ბრწყინვალებას.

წელსაც მოაწია ქრისტეს შობამ. მწყემსების მსგავსად ვისწრაფოთ მისკენ. უარვყოთ ჰეროდესეული მტრობა მისდამი. მერე რა, რომ ცოდვებით დამძიმებულნი ვართ, შებილწულნი. განა ცხოველთა ბაგა იუკადრისა ღმერთმა?! ნუ შევშინდებით. იმედი ვიქონიოთ. ღმერთი არ გაგვწირავს. შემოვუშვათ ჩვენს გულში ქრისტე და იგი განგვიწმენდს გონებას, გაგვიხსნის ყურთასმენას და კვლავ გავიგონებთ ანგელოსთა გალობას: ***დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. ამინ!***

ყველას გილოცავთ ქრისტეს შობას!

მთავარეპისკოპოსი
სერგი (ჩეკურიშვილი)

19 იანვარი – იესო ქრისტეს ნათლისღება

უდაბნოში იოანე ნათლისმცემელს გამოეცხადა ღმერთი და უბრძანა: “ჩადი მდინარე იორდანეს ნაპირთან, უქადაგე ერს ცოდვათა მონანიება, ნათელ-ეცი მას წყლით და მოამზადე იგი მაცხოვრის მიღებისათვისო.”

იოანე მაშინვე დამორჩილდა ღვთის ნებას და იმ დღიდან მდინარე იორდანეს ნაპირთან იწყო ქადაგება: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა.“

უამრავი ხალხი მიდიოდა იერუსალიმიდან, სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან იოანესთან, აღიარებდნენ ცოდვებს და მის მიერ ინათლებოდნენ მდინარე იორდანეში.

ამ დროს იესო ქრისტეს ოცდაათი წელი შეუსრულდა და ისიც მივიდა იოანესთან ნათლისღებისთვის.

იოანეს არ ჰყავდა ნანახი ქრისტე, თუმცა იცნო იგი და უარზე დადგა: “მე უნდა ვინათლებოდე შენგან და შენ მოდიხარ ჩემთან მოსანათლადო?”

იესო ქრისტემ უთხრა: “დამიჯერე. ჩვენ უნდა აღვასრულოთ ყოველივე ის, რაც სიმართლეა და რაც კი წესადაა დადგენილი.”

მაშინ იოანე დაემორჩილა მას, ჩააყენა იორდანეში და მონათლა.

როგორც კი იესო წყლიდან ამოვიდა, მაშინვე ზეციდან სულიწმიდა გადმოვიდა მასზე მტრედის სახით და ზეციდან მოისმა მამა ღმერთის ხმა: ***„ესე არს ძე ჩემი საყვარელი.“***

ნათლისღების შემდეგ იესო წავიდა უდაბნოში, ორმოცი დღე ემზადებოდა მარხვითა და ლოცვით და ბოლოს გამოვიდა საქვეყნოდ სახარების საქადაგებლად.

მაცხოვარმა მალე შეიძინა თორმეტი მოწაფე, რომლებსაც უნდა გაევრცელებინათ ქრისტიანობა დედამიწაზე მაცხოვრის ზეცად ამაღლების შემდეგ.

სასკოლო წიგნი
„ახალი აღთქმა“

27 იანვარს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის – წმინდა ქალწულის, ნინოს ხსენების დღეს აღნიშნავს

წმინდა ნინოს დღეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია წელიწადში ორჯერ აღნიშნავს: 1-ელ ივნისს - წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის და 27 იანვარს - მისი გარდაცვალების დღეს. წმინდა ნინოს ქართველთა განმანათლებლად და საქართველოს ციურ მფარველად მიიჩნევენ.

ნინოს მამა იმპერატორ მაქსიმიანეს მხედართმთავარი ყოფილა. შემდეგ მას სამსახურისთვის თავი დაუნებებია და იერუსალიმში წასულა, სადაც შეურთავს იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის და სუსანა. ბოლოს ბერად აღკვეცილა, დედა კი გლახაკთა სამზრუნველოს მსახური გამხდარა. იერუსალიმიდან ნინო იმპერატორ კონსტანტინე I-ის კარზე მოხვედრილა, სადაც დედოფალ ელენესა და სეფე ქალებს ქრისტიანობას უქადაგებდა. შემდეგ ნინო საქართველოში წამოსულა. მცხეთაში, თავის სადგომში, სალოცავად აღუმართავს ვაზის ტოტისგან (“ნასხლევისაგან”) გაკეთებული ჯვარი. ქადაგებებითა და სამკურნალო ხელოვნებით ნინოს მოსახლეობის ყურადღება და სიყვარული დაუმსახურებია. მას მეტსახელად “ტყვესაც” ეძახდნენ, როგორც უცხოელ, უთვისტომო ადამიანს. ნინოს წყალობით მცხეთაში ქრისტიანობას მრავალი მიმდევარი გასჩენია. მცხეთაში მისულიდან მეექვსე წელს ნინომ გააქრისტიანა ქართლის დედოფალი ნანა, ხოლო შემდეგ მეფე მირიანი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები. ამის შემდეგ, ნინოს რჩევით, მეფემ მოციქულები გაგზავნა იმპერატორ კონსტანტინესთან სამღვდელოების ჩამოსაყვანად, რათა ხალხი მოენათლათ და ეკურთხებინათ ახლადაგებული ეკლესია. ნინოს მისიონერული მოღვაწეობა განუგრძია ქართლის სამეფოს სხვა კუთხეებშიც. ერისთავის, სამღვდელოებისა და ჯარის თანხლებით ნინო მთიანეთშიც ასულა და წილკნელები, ჭართალელები, ფხოველები და ერწო-თიანეთელებიც გაუქრისტიანებია. უკან დაბრუნებისას ავად გამხდარა და სოფელ ბოდინში (ახლანდელი ბოდბე) გარდაიცვლილა, სადაც დაუკრძალავთ კიდევაც.

ბოდბის სამონასტრო კომპლექსში, მის საფლავზე, როგორც საფლავის ძეგლი, დგას წმინდა გიორგი ძლევამოსილის და წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარი - IX საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა. წმინდა ნინოს თმებით შეკრული ვაზის ჯვარი კი თბილისის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში ინახება.

ყოველწლიურად, ზაფხულში, ახალგაზრდობის დიდი ჯგუფი საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორის კვალდაკვალ გზას მიჰყვება. მარშრუტი სრულად შეესაბამება იმ გზას, რომელიც წმინდანმა საქართველოსკენ გამოიარა.

მხოლოდ საქართველოს დედაქალაქში წმინდა ნინოს სახელობის ხუთი ტაძარია, სადაც ნინოობის დღესასწაული განსაკუთრებულად აღინიშნება. საზეიმო წირვა ქვეყნის ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში ტარდება.

გამოსათხოვარი

ლენა ანუაშვილი

– ლენა ქალბატონი, ვინც ეპოქა შექმნა არამარტო ჩვენი ქალაქის სინამდვილეში ანუაშვილი -ჩვენი თაობის ექიმების დიდი მოძღვარი, ქალი-მადალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების უნიკალური მაგალითი და უბრალოდ -ყველას იმედი, შინაური და უთბილესი ლენა ექიმი.

97 წელი, რამდენის მთქმელი და მაინც ვერდამტევი იმ დიდი ღვაწლის, რაც გარეჯელებს ასე უშურველად მიუძღვნა.

დაგილოცავთ გზას მარადისობისას,ლენა ექიმო....

მარადისობას თქვენ სიცოცხლეშივე დაუდგით ხელთუქმნელი ძეგლი, რასაც ადამიანთა სიყვარული ჰქვია„..

საგარეჯოს ექიმთა სახელით *ლეილა ოტიაშვილი*

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია მწუხარებით იუწყება საგარეჯოს საპატიო მოქალაქის, დირსების ორდენის კავალერის, დამსახურებული ექიმის, საგარეჯოს კოლორიტის, შესანიშნავი პიროვნების, რაიონის ამაგდარი ქალბატონის

ლენა ანუაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ჭირისუფლებს.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე გაზეთის თანამშრომელს ზურაბ აგულაშვილს მამისა და ძმის

ალექსანდრე (თენგიზი) და ივანე აგულაშვილების

გარდაცვალების გამო.

თინა ბეჭიტაშვილი

40 ტკივილიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მოულოდნელად შეწყდა შენი გულის ცემა და სპეტაკი სული მარადიული სასუფევლის მკვიდრი გახდა.

შენმა წასვლამ დიდი ტანჯვა და მწუხარება მოუტანა შენს შვილებს, ოჯახს, და-ძმას, ახლობლებს.

მხნედ და შეუდარებელი ნებისყოფით უმკლავდებოდი ყოველგვარ სიძნელეს, ამაყი შემართებით აკეთებდი შენს კუთვნილ საქმეს. თანდაყოლილი გქონდა დიდი მოვალეობის გრძნობა, შრომის სიყვარული, სამართლიანობა, ერთგულება.

მრავალი წელი ემსახურე საგარეჯოს უღალატოდ.

აღზარდე კარგი შვილები იმ გაუსაძლის წლებში და ამბობდი – დამიფასდა შრომაო. დაგიფასდა, ჩვენო ძვირფასო თინიკო.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ნათელ სულს და განისვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. შენი სიყვარული ჩვენს გულში იქნება მარადჟამს.

დეგი და ძმა
ოჯახებით

მოყვარულთა ლიგაში

„სამი ფარის კომპანია“ კახეთის ზონის სამგზის ჩემპიონი

დამთავრდა *საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა ლიგის ზონალური (მათ შორის კახეთის ზონის) გათამაშება. როგორც წინა წლებში, კახეთის ზონის სხვა მუნიციპალიტეტების საფეხბურთო გუნდებთან ერთად მონაწილეობდნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის „სამი ფარის კომპანიის“ ფეხბურთელები, რომელთაც დღიდან დაარსებისა, უცვლელად ხელმძღვანელობს ამავე სახელწოდების იურიდიული კომპანიის ხელმძღვანელი და დამფუძნებელი კახაბერ ღვთისავრიშვილი. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, საგარეჯოს მოყვარული ფეხბურთელები ზედიზედ ორი წელია იგებენ და ფლობენ კახეთის ზონის გარდამავალ თასს. ისინი წლევანდელ გათამაშებაშიც იმ გადაწყვეტილებით ჩაებნენ, რომ არავისთვის დაეთმოთ კახეთის ჩემპიონობა და აღნიშნული თასი და ... ეს გადაწყვეტილება შეასრულეს კიდეც – უკვე ზედიზედ მესამედ გახდნენ ზონის ჩემპიონები და თასის მფლობელები. თუ როგორი იყო ამ წარმატებისკენ მიმავალი გზა, გვესაუბრება გუნდის მთავარი მწვრთნელი რევაზ ხებრელაშვილი, რომელმაც ამ პოსტზე მწვრთნელი ოთარ დევდარიანი შეცვალა.*

– ჩემპიონატის დაწყებამდე, რომელშიც მონაწილეობის სურვილი კახეთის 10-მა გუნდმა გამოთქვა, „კორონა-ვირუსის“ გამო თავიდანვე 2 გუნდი გამოეთიშა, რომელთაც შემდგომ კიდევ ორი გუნდი მიემატა. ამის გამო გათამაშებაში 6, მათ შორის ჩვენი გუნდიღა შემორჩა, – გვითხრა მან. – ამის გათვალისწინებით ასპარეზობა ჩატარდა წრიული სისტემით. ტურნირში მონაწილეობდნენ: ლაგოდეხის, ტიბაანის, გურჯაანის, ყვარლის, თელავისა და ჩვენი გუნდი.

თამაშები ტარდებოდა ლაგოდეხში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბაზაზე, რაც სხვა გუნდებთან შედარებით ერთგვარ უპირატესობას ანიჭებდა ლაგოდეხელ ფეხბურთელებს. პირველი თამაში „სამი ფარის კომპანიის“ ფეხბურთელებს გვქონდა გურჯაანელ ფეხბურთელებთან, რომელიც დავამარცხეთ 3:0. ნახევარფინალში 5:0 დავამარცხეთ ტიბაანელი მოწინააღმდეგეები და გავედით ფინალში, სადაც ჩვენი მოწინააღმდეგე გახდა ლაგოდეხის გუნდი. თავის მხრივ, ამ ტურნირში ლაგოდეხელებს დამარცხებული ჰყავდათ ყვარლისა და თელავის გუნდები.

ფინალური შეხვედრა დაიწყო 19 საათზე, ღამის განათების პირობებში. პირველი ტაიმის 24 წუთისათვის ჩვენ ანგარიში მიგვყავდა 2:0-ზე, ტაიმის მიწურულს კი ანგარიში გახდა 2:1.

მეორე ტაიმის მე-17 წუთზე ლაგოდეხელები ორი ბურთის სხვაობით 4:2 დაწინაურდნენ. 34-ე წუთზე საგარეჯოელმა ფეხბურთელებმა შეძლეს კიდევ ერთი საპასუხო გოლის გატანა და ანგარიში გახდა 4:3 ლაგოდეხის სასარგებლოდ. თამაშის მე-80 წუთზე ლაგოდეხელებმა თავიანთი საჯარიმო მოედანზე წააქციეს დავით ბეჟიტაშვილი და დაინიშნა 11 მეტრინი დარტყმა. ეს პენალტი ბრწყინვალედ შეასრულა დ. ბეჟიტაშვილმა და მატჩის დასრულებისათვის ანგარიში გათანაბრდა 4:4. ამის გამო დაინიშნა პენალტების სერია. საგარეჯოელმა და ლაგოდეხელმა მეკარეებმა შეძლეს I დარტყმების მოგერიება. ასევე უშედეგოდ დამთავრდა მეორე დარტყმები. სამაგიეროდ, ხვიჩა ღვინიაშვილმა, ლერი ბარიხაშვილმა და რეზო თარიმანიშვილმა შეძლეს სამი პენალტის გატანა, რასაც ლაგოდეხელებმა ორი ბურთით უპასუხეს. აქ კარგად ითამაშა ჩვენმა მეკარე აჩი ბუზარიაშვილმა, რომელმაც შეძლო კიდევ ერთი პენალტის გაუვნებელყოფა. 3:2 ასე დასრულდა პენალტების სერია „სამი ფარის კომპანიის“ ფეხბურთელებისათვის, რითაც გავხდით ზონის გამარჯვებული და ჩემპიონები. ამით ჩვენი გუნდი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზედიზედ მესამედ გახდა კახეთის ჩემპიონი. ამ წარმატებისათვის გუნდი დაჯილდოვდა შესაბამისი თასითა და მედლებით... ბომბარდირის პრიზი გადაეცა დავით ბეჟიტაშვილს, რომელმაც ამ თამაშში 5 გოლი, ხოლო მთლიანად ტურნირში 8 გოლი გაიტანა. საუკეთესო მცველად დასახელდა თორნიკე ფოცხვერაშვილი, საუკეთესო ნახევარმცველად – რევაზ თარიმანიშვილი.

ამ გამარჯვების შემდეგ „სამი ფარის კომპანია“ ჩაერთო საქართველოს მოყვარულთა ლიგის მერვედფინალურ შეჯიბრებაში, სადაც I ტაიმში 3:1-ს აგებდნენ ახალქალაქის გუნდთან, მეორე ტაიმში კი დაწინაურდნენ და 5:3 დაამარცხეს მეტოქეები. ამის შემდეგ მეოთხედფინალში ჩვენი მოწინააღმდეგე იყო ლიგის შარშანდელი ჩემპიონი თბილისის „ბასიანი“. მატჩის დაწყებამდე „სამი ფარის კომპანიას“ კორონას გამო გამოაკლდა 4 მოთამაშე, რითაც შესამჩნევად შესუსტდა მისი შესაძლებლობები და ბასიანთან დავმარცხდით 7:1, რითაც გამოვეთიშეთ გათამაშებას.

– თუ არ ვცდები წინა წლებშიც „სამი ფარის კომპანია“ მეოთხედფინალს ვერ გასცდა. ვინ არიან ის ადამიანები, ვინც ხელს უწყობენ საგარეჯოში სამოყვარულო ფეხბურთის არსებობას?

– ისინი არცთუ ისე ბევრნი არიან. ჩვენს გუნდს, როგორც ყოველთვის, მხარში ედგა მისი ყოფილი მოთამაშე, ბიზნესმენი თემურ ჯინჯიხაძე, რომელმაც ტურნირის დაწყებამდე გუნდს შეუძინა სათამაშო ფორმა. კვების ხარჯებით უზრუნველგვყოფდა კახაბერ ღვთისავრიშვილი, ხოლო ტრანსპორტირებას – მუნიციპალიტეტის მერია და მისი შესაბამისი სამსახურები. ახალი სეზონის გახსნისათვის კი სათანადო ინვენტარითა და ახალი სათამაშო ფორმებით მომარაგებას გვპირდება „გარეჯი-1960“-ის დირექტორი ლაზარე დათუნაშვილი.

– ფეხბურთელები, ვინც წვლილი შეიტანა „სამი ფარის კომპანიის“ წლევანდელ წარმატებაში...

– ესენი არიან მეკარე აჩი ბუზარიაშვილი, ლუკა ორკოშნელი, ხვიჩა ღვინიაშვილი, თორნიკე ფოცხვერაშვილი, შოთა ოკინაშვილი, რევაზ თარიმანიშვილი (კაპიტანი), ლერი ბარიხაშვილი, გიორგი ახვერდაშვილი, ნიკა ჭიაბერაშვილი, ვაკო გაგნიაშვილი, დავით ბეჟიტაშვილი, ზურაბ სამუნაშვილი, გიორგი ესაიაშვილი, ლუკა ოდიკაძე, სოსო სუხიშვილი, ლუკა გორგილაძე, ზურა კერატიშვილი, ზურა დარისპანაშვილი, ნიკა ქვლივიძე, აკაკი თედიაშვილი, რამაზ თარიმანაშვილი.

გივი დაგახიშვილი

ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!“

„მრავალგზის“ გარეჯელი ბიჭი, დიდ ფეხბურთზე მეოცნებე

ერთი ჩვეულებივი, უბრალო გარეჯლი ბიჭი არ გეგონოთ, მართლაც რომ გარეჯელია. რატომ? ჯერ ერთი, დაბადებიდანვე ცხოვრობს საგარეჯოში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, სწავლობს საგარეჯოს პირველ საჯარო სკოლის IV კლასში, არის საფეხბურთო გუნდ „გარეჯის“ მოთამაშე, კარგად თამაშობს ფეხბურთს. თუ არ გჯერათ, შეეკითხეთ მის მწვრთნელებს ოთო დევდარიანს და გურამ ნათენაძეს, თუნდაც თანაგუნდელებს. ძალიან მოსწონს ფრანგული კლუბის პსჟ-ს ფეხბურთელთა თამაში და ჩვენი ქართველი ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია. თუმცა იცის, ჯერ ქართულ „დინამოს“ ბევრი აკლია მაყურებელთა და გულშემატკივართა სიმპათიისა და სიყვარულის დამსახურება. ჰობი? ჰობი, როგორც ყველა მისი თანატოლისთვის – კომპიუტერული თამაშებია. მას ამ თამაშების სიყვარულში არც უმცროსი და-ძმა ბარბარე და ერეკლე ჩამორჩებიან. სკოლაში სიარული ძალიანაც მოსწონს, ძალიან უყვარს ქართული და მათემატიკა და აი, სპორტი კი იცის, რომ სხეულის გაკაჟებაში ეხმარება და ყოველთვის ხალისით ერთვება სპორტულ აქტივობებში. სკოლაში, კლასში, ფეხბურთის გუნდში, თავის საყვარელ უბანში ხომ ჰყავს და ჰყავს მეგობრები, მაგრამ ქუთაისშიც ძალიან ბევრი ჰყავს. ქუთაისი ხომ მისი დედულეთია და ბებოც იქიდანაა. სულ სიხარულით ხვდება იქით წასვლას, იცის, რა სიყვარულით, სიხარულით, იმერული ტკბილი მოფერებით შეხვდება ლალი ბებო და თამაზ ბაბუა. დიახ, ბაბუა, რადგან თუ აქ ზურა პაპა ჰყავს, როგორც კახეთში ეძახიან მშობლების მამას, ისე იმერეთში ეძახიან ბაბუას. შევა ალავიძეების სახლში და დატრიალდებიან ბებია-ბაბუა-ბიძა – კახელები ჩავიდნენ, კახური დიალექტით, სუფთა გულით, იმერული სითბოთი და თავაზიანობით გაჯერებული...

ქუთაისი მოვლილი აქვს, როგორ არ იცის დავით აღმაშენებლის საფლავი გელათში, როგორ არ იცის ბაგრატის დიდებული ტაძარი და სათაფლიაში დინოზავრის ნაკვალევი და საოცარი სტალაგმიტები, რომლებსაც სულ სხვა სამყაროში გადაჰყავს ადამიანები, როგორ უყვარს მდინარე რიონი... თან როგორ უნდა, ყველა მისმა ამხანაგმა ნახოს ქუთაისი, მისი სილამაზეები. მართალია, გარეჯი ყველა საგარეჯოელს ექნება ნანახი, და იცით, როგორი მეგობრობა მოსწონს?! როცა რაღაც გაუგებრობას გულწრფელად გაარჩევენ და კი არ იბუტებიან, პირიქით, უფრო უკავშირდებიან ერთმანეთს, შემდეგში ერთმანეთის აზრებსაც ითვალისწინებენ. აი, პაპას – ზურა ბაირამაშვილს პირველი კლასიდან (57 წელია გასული) დღემდე აქვს კლასელებთან შემორჩენილი მეგობრობა, ერთი დღეც ვერ ძლებენ ერთმანეთის გარეშე „ბიჭები“. ლამარა ბებომ, ქუთაისელმა, როცა საგარეჯოს ცენტრალურ აფთიაქში მუშაობდა, უამრავი ადამიანი გაიცნო, ახლა საბერძნეთშია წლების განმავლობაში, ახლა იქ გაიცნო ზოგი ქართველი, ზოგი ბერძენი და უამრავი მეგობარი ჰყავს. დედა თეონა და მამა ვალერი საგარეჯოში არსებულ ბანკებში მუშაობენ და ისინი ხომ მთელ რაიონს იცნობენ. ახლა ქუთაისში იკითხეთ თამაზ ალავიძისა და ლალი დათიაშვილის მეგობრები? ამას იქაური ბიძის და აქაური მამიდის – ნინოს მეგობრებიც ემატებიან და მათგან ისწავლა, რამხელა სიხარულია, როცა უამრავი მეგობარი გყავს.

რაც შეეხება თოვლის პაპას, ახალი წლის შეხვედრას, აქაც ტრადიციულად ოჯახი ეგებება ახალ წელს, შუშხუნა-მაშხალებით, ერთმანეთის მილოცვა-დალოცვით. თოვლის პაპის საჩუქრების არ სჯერა, მაგრამ ყოველ ახალ წელს ნაძვის ხის ქვეშ ხვდება გასახარი საჩუქრები.

ახალი წლის წინა საღამოს ფლეისთეიშენს თამაშობდა და იცით, რა მოხდა?! მამიკომ ახარა – „საქართველოს ბანკის“ მიერ დაწესებული გათამაშების გამარჯვებულები გახდნენ, ემიგრანტი ლამარა ბებოსგან გამოგზავნილი გზავნილით მოიგეს თბილისში ბინა. აქ სამი ბინა თამაშდებოდა, ხოდა, ერთი მათმა ოჯახმა მოიგო. ზუკა სიხარულისგან ყვიროდა და საერთოდ აღარაფერი ახსოვდა. ახლა ის აინტერესებს, როგორი იქნება მათი ბინა, ერთი დიდი მიზანიც აქვს, კარგი, ცნობილი ფეხბურთელი გამოვიდეს. იცის, რომ ამისთვის შრომა, ვარჯიშია საჭირო... ისიც იცის, რომ კახელია, კახელს თუ ვაზი არ უყვარს და ვაზს არ უვლის, ისე ქართული სული, ქართული გული არ ექნება მკერდში და ვერც დიდოსტატობას მიაღწევს. ამიტომაც დაუზარებლად ეხმარება მამიკოს „საფერავის“ ჯიშის ვაზის მოვლაში და მამასთან ერთად ოცნებობს, ჰქონდეს საკუთარი ღვინის ქარხანა და ვენახიც იჯარით კი არ ჰქონდეთ, არამედ საკუთარი, საოჯახო.

რას იზამ, ასეთია კახელ-იმერელი კაცის სურვილები.

სურათზე: ***ზუკა და-ძმასთან.***

დღევანდელი და სამომავლო მიზნები

ეს პატარა გოგონა ფეისბუქელია, ახალი წლის წინა დღეს ბებოს კარნახობდა და თავის სურვილებს აწერინებდა. თოვლის პაპისგან მართლაც მიიღო საჩუქრები, წერილი ჩვენც მოგვწერა. აი, რას გვწერს:

– გამარჯობა. მე **ნიტა ლაფერიშვილი** ვარ, 5 წლის, ვცხოვრობ საგარეჯოში. მყავს პატარა ძაღლი, რომელსაც ჰქვია მიმი. ახალ წელს თოვლის პაპას გავუგზავნე წერილი და ვთხოვე, რომ ჩემთვის და მიმისთვის მოეტანა საჩუქრები. ჩემთვის – მატარებელი, მიმისთვის კი – ტანსაცმელი (ქუდი, შარფი და 2 ცალი კაბა).

ახალ წელს თოვლის პაპამ მომიტანა დიდი მატარებელი, მიმისთვის ტანსაცმელი და ფაზლი, რომელიც არ დამიბარებია და დამატებით მაჩუქა.

ძალიან მინდოდა თოვლის პაპასთან შეხვედრა, ამიტომ გადავწყვიტე არ დამეძინა და დავლოდებოდი, როდის მოვიდოდა და მომიტანდა საჩუქრებს. სანამ 12 საათი გახდებოდა, დედამ და დეიდამ წამიყვანეს ნაძვის ხის სანახავად. ცოტა ხანს გავისეირნე. სახლში რომ დავბრუნდით, რას ვხედავ, ნაძვის ხესთან 3 ცალი საჩუქარი იდო. მივხვდი, რომ თოვლის პაპა ბუხრიდან შემოსულიყო და ისევ ბუხრიდან გაპარულიყო.

საჩუქრები რომ დავინახე, ძალიან გამიხარდა, თან მეწყინა, თოვლის პაპა რომ ვერ ვნახე და გამეპარა. არადა, გავაფრთხილე და მივწერე წერილი, რომ ბუხრიდან არ გაპარულიყო, მაგრამ არა უშავს, ალბათ სხვა ბავშვებთან ეჩქარებოდა.

ბაღში საჩუქრები ჯერ არ მიმიღია, რადგან გლანდების ოპერაცია გავიკეთე და ვერ დავდიოდი. თუმცა დირექტორმა დედას დაურეკა და უთხრა, რომ მეც შემხვდება საჩუქარი. ძალიან მაინტერესებს, რა იქნება.

მე დავდივარ საგარეჯოს №1 ბაღში. ჩემი მასწავლებელია ლეილა კოხტაშვილი. ძალიან მიყვარს ჩემი მასწავლებელიც და ბაღიც.

ძალიან მიყვარს სამაგიდო თამაშები, განსაკუთრებით ფაზლი. კიდევ მიყვარს ხატვა, მანქანებით თამაში და ზღაპრები, რომელსაც დედა მიკითხავს.

შობას მე და ჩემი ოჯახი ვიყავით კონცერტზე, რომელიც ჩატარდა საგარეჯოში. იქ იყვნენ თოვლის პაპა და სხვადასხვა მულტფილმის გმირები. ძალიან გამიხარდა მათი ნახვა. თოვლის პაპამ ტკბილეული მაჩუქა და მომილოცა ახალი წელი და შობა. ბევრი ჩემი მეგობარი ვნახე და გავერთეთ კარგად.

მე მინდა გამოვიდე ან ექიმი, ან პოლიციელი. ექიმი იმიტომ, რომ ბევრი ადამიანი გამოვაჯანმრთელო. პოლიციელი იმიტომ, რომ ქურდები და ბოროტი ადამიანები დავაპატიმრო.

საშობაო და საახალწლო ტრადიცია იტალიაში მსგავსებაც და განსხვავებაც...

ყველამ ვიცით, რომ ანანო ქვლივიძე მეუღლესთან და ჩვენთვის, ყველა გარეჯელისთვის საყვარელ თეკუნასთან ერთად იტალიაში, რომში ცხოვრობს. თეკუნა მალე გამოჯანმრთელებული დაბვიბრუნდება საგარეჯოში. ამის იმედს მისი მკურნალობის შედეგები გვაძლევს. თუ როგორ ხვდებიან იტალიელები ახალ წელს, ანანო გვიზიარებს.

– რა არის შენთვის შობა? – ვკითხე ოლიმპიას, როცა სავაჭრო კალათაში დახვავებულ სადღესასწაულო ნუგბარს რამდენიმე მეტრიანი შესაფუთი, ბრჭყვიალა ქაღალდიც დაადო ზემოდან.

– რა გითხრა, ზოგჯერ მგონია რომ მთელი წელი იმისთვის ვემზადებით, 24-ში ღამე კარგად რომ მოვილხინოთ და საჩუქრები გავხსნათ. რა საჭიროა ამდენი საჭმელი,მაგრამ წესია ასეთი, - მპასუხობს ღიმილით და დიდი ყოყმანის შემდეგ, სალაროსთან ჩამწკრივებულ ნაძვის ხის ფორმის შოკოლადებსაც დებს კალათაში.

ოლიმპია თეკლას ექთანია. სარდინიიდანაა, თუმცა ამჟამად რომში ცხოვრობს და იგუანასთან ერთად 9 კატას ზრდის სახლში. უყვარს საშობაო ნაძვის ხე, იგივე ლბერო დი ატალე და მიიჩნევს, რომ დღესასწაულები ცეკვის გარეშე მოსაწყენია.

23 დეკემბერს რამდენიმე კილომეტრიანი გზაც საათობით იწელება. ესეც წესია ასეთი, მთელი თვეც რომ ემზადებოდე შობისთვის, მაინც უამრავი რამ გრჩება საყიდელი და ბოლო დღეებში ერთიანად გიწევს მოგვარება. ოლიმპია გულმოდგინედ მიხსნის, როგორი სახალისოა შობის ღამეს ლოტოს თამაში, რომელსაც ტომბოლა ჰქვია და თუ ფორტუნა გწყალობს, სხვადასხვა პრიზების მოგებაც შეგიძლია. ნივთებს თავადვე არჩევს და საგულდაგულოდ ფუთავს.

კიდევ ერთი უჩვეულო ამბავი ხდება თურმე შობას. ოჯახის უფროსს ტრადიციულად მნიშვნელოვანი საქმე რომ გამოუჩნდება ხოლმე და ის რამდენიმე წუთი, როდესაც „ბაბო ნატალე“ უნდა ეწვიოს საჩუქრების მომლოდინე ოჯახს, სამსახურეობრივი საქმისთვის იკარგება. მოგვიანებით თავადვე ვხდები მსგავსი ფაქტის მომსწრე, თუმც სანტა კლაუსის ფორმაში გამოწყობილი კაცის მზერა ვიცი, რომ სადღაცას მინახავს... ბუნებრივია ბავშვები მთელი არსებით არიან ჩართულნი ამ ამბებში და დასასრულს, მთქნარებამორეულნი, გაოცებული თვალებით აცილებენ მოხუც თოვლის პაპას ჭიშკრისკენ.

შობის წინა საღამოს მთავარი კერძი თევზი და ბოსტნეულია. იტალიელები დიდი რუდუნებით ამზადებენ ბაკალას, იგივე ვირთევზას ზეთისხილისა და სხვადასხვა ბოსტნეულის თანხლებით. დესერტად პანეტონე ან პანდორო შეგიძლიათ დააყოლოთ, რომელიც ჩვენებური პასკისგან სიფაფუკით თუ განსხვავდება.

ღვინო? კი ბატონო, სამიოდე ბოთლი მთელი სუფრის მანძილზე. არ მოგეჩვენათ, კი. ისინი ხომ უბრალოდ წრუპავენ. თუმც აღმერთებენ ამ სასმელს და არაჩვეულებრივი სახეობებითაც იწონებენ თავს ბაზარზე.

თავად შობას, წინა დღისგან განსხვავებით, უხვად ამზადებენ სხვადასხვა კერძს ხორცისგან, ხმაურობენ, ცეკვავენ, მხიარულობენ და ღვინის პარალელურად, გაზიანი წყლითაც ისველებენ პირს.

პრეზეპე- პატარა საშობაო პერფორმანსია სხვადასხვა ფიგურების, ზოგ შემთხვევაში მსახიობების მონაწილეობით, კათოლიკურ ეკლესიებში რომ შეხვდებით უხვად. მახსოვს, წმინდა პეტრეს ტაძარშიც გადავაწყდი ყრმა იესოს, წმინდა მარიამის, იოსების, მწყემსებისა თუ ცხოველთა ფიგურების სახით. იტალიელები მთელი წლის მანძილზე ეძებენ ახალ-ახალ დეტალებს თავიანთი პრეზეპესთვის, რომელიც მცირე მასშტაბებით, თუმც არაჩვეულებრივად იმეორებს ეკლესიებში განთავსებულ პერფორმანსს.

– ახალ წელს რა ხდება? კვლავ ჩაველიე ოლიმპიას.

- ატალე ცონ ი ტუოი, ცაპოდანნო ცჰი ვუოი. - შობას შენიანებთან ერთად უნდა შეხვდე, ახალ წელს კი ვისთან ერთადაც გსურსო - მიპასუხა და უკვე სახლში მისულმა, 9 კატიდან ერთერთს ნაზად გადაუსვა ხელი ზურგზე.

31-ში ღამე, ტრადიციული ფეიერვერკით, ძველი კომედიური ფილმებითა და საახალწლო სატელევიზიო კონცერტებითაა დახუნძლული. საქართველოშიც ხომ ასე ხდება ზუსტად? თუმც, გარკვეული მსგავსების მიუხედავად, მაინც დიდია განსხვავება კულტურებს შორის.

ბეფანას თუ იცნობთ, კეთილ ბებიაგას? პირადად მე, ცოცხზე ამხედრებული, ეს ცხვირმეჭეჭა ბებო სლავური ზღაპრებიდან ბოროტ პერსონაჟად რომ ჩამყვა გულში. ძლივს დავიჯერე, მაღაზიებში გამოფენილი ეს სათამაშო ქალი, ზურგზე მოგდებული გუდით, დაკემსილი კაბითა და ბრიალა თვალებით, 6 იანვარს ბავშვებს ტკბილეულით დახუნძლულ წინდებს რომ უტოვებდა ბუხართან. ამ დღის მთავარი ტრადიცია იმავე წინდებში ჩაგდებული თითოოროლა ნახშირია, რომელიც თანამედროვე საკონდიტრო ქარხნების წყალობით ტკბილეულის სახით იყიდება მარკეტებში. ბეფანა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია მთელი წლის მანძილზე კარგად იქცეოდნენ ადამიანები და რამდენიმე უხეირო ქცევა მაინც არ გამოურიონ. სწორედ ამ ქცევათა საპირწონეა აღნიშნული ნახშირი, მუდამ რომ გვახსოვდეს ჩვენი ნაკლოვანებები.

6 იანვარსვე აღნიშნავს კათოლიკური სამყარო იესო ქრისტეს ნათლისღებას.

საინტერესოა თითოეული ქვეყნისთვის დამახასიათებელი საშობაო თუ საახალწლო ტრადიცია. სიამოვნებით რომ ვუსმენ ფეხებმოკეცილი და ზოგჯერ თავადაც ვმონაწილეობ. მაგრამ სულ სხვაა ქართული, ომახიანი „ალილო“ და ლოყებდაბრაწული ბავშვების გაუთავებელი ტანტალი ერთი უბნიდან მეორე უბანში. დაუსრულებელი სუფრებიც მენატრება ზოგჯერ, მოსაწყენად რომ იწელება უმეტესად და დიასახლისების მოკრძალებულ წყრომას იწვევს.

ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ ყველას. სიხარულითა და სიკეთით სავსე 2022 ყოფილიყოს თითოეულ ოჯახში..

ანანო ქვლივიძე,
იტალია, ქ. რომი

ზოგა საგარეჯოში

ეს იყო მართლაც ქართული ზეიმი – ქრისტიანული და სახალხო

საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე, ქალაქის მთავარ ნაძვის ხესთან ღონისძიების მონაწილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, სტუმრებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა უმასპინძლა.

ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

პატარების საზეიმო განწყობაზე სანტასთან ერთად ზღაპრისა და ანიმაციური ფილმების გმირებმა იზრუნეს.

საშობაო ღონისძიებას ალილოს მსვლელობით წინამძღვართან ერთად წმინდა დოდო გარეჯელის სახელობის მგალობელთა გუნდი შემოუერთდა, ბატონმა ავთანდილ გულიკაშვილმა ალილოს ჯგუფს ტკბილეულით სავსე კალათები გადასცა და შობის დღესასწაული მიულოცა.

7 იანვარი საგარეჯოს მოსახლეობამ ზღაპრული და დაუვიწყარი წუთებით აღნიშნა.

ეს ნამდვილი ზეიმი, ბედნიერი, ემოციით დატვირთული, დიმილიანი დღე იყო პატარებისათვის!

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონი: 599 851 143; 24-30-20
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru